პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომი-
ტეტის და საქარ. ს. ს. რ.,
წ.-არმ. და მატროსთა დე-
პუტატების საბჭოთა ცენტრა-
ლურ აღმასრულებელ კომი-
ტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 სარ. №

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 (მე-2 სართული).

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადები—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. ხამელიდიარო განცხადები 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 8—48.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 202 სამშაბათი, 5 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 5 სექტემბერი 1922 წ. № 202

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათს, 5 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგში:

1. საავადმყოფო კასის შესახებ.
2. კურორტების შესახებ.
3. შეფობის შესახებ.
4. მუშათა სახლების შესახებ.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(2—2) საქ პროფკავშირთა საბჭოს სამდივნო.

ხალხთა ლიგა

არა გვგონია დღეს მთელს მსოფლიოში იყოს ისეთი სახელ გატეხილი და უსიცოცხლო დაწესებულება, როგორიცაა ეგრედ წოდებული ხალხთა ლიგა, იგი აყროლებულ ლეშს წარმოადგენს, რომელიც სწამლავს ევროპის ისედაც მოწამლულ ატმოსფერას. ეს „პატივცემული“ დაწესებულება ჩვეულებრივ არ იჩენს სიცოცხლის არავითარ ნიშან-წყალს. მხოლოდ ხანდახან შეიკრიბება სალაყბოდ, რათა მოაგონოს კაცობრიობას თავის სამარცხვინო არსებობის შესახებ და კვერი დაუკრას ბურჟუაზიის მმართველ წრეების მტაცებლურ ნაბიჯებს და დადგენილებებს.

როგორც რადიომ გვაუწყა, ამ ჟამად წარმოებს ხალხთა ლიგის სხდომები. მას განზრახული აქვს უახლოეს სხდომაზე განიხილოს განიარაღების საკითხი და მისი მნიშვნელობა ეკონომიურ ცხოვრებაში.

ლოიდ-ჯორჯი ფიქრობს თურმე, ხალხთა ლიგის „დასახსნელად“, მიიზიდოს მასში მონაწილეობისთვის რუსეთი, გერმანია, უნგრეთი და ოსმალეთი. ამ გვარად გარდაქმნილ ხალხთა ლიგაში ლოიდ ჯორჯს უნდა გაატაროს ლიგის მთავარი ამოცანები—„მშვიდობიანობის გავრცელება, მყუდროება ყველა ქვეყნებში და წასისიანების და შოვინისტურ პროპაგანდის მოსპობა“.

საპატიო მიზნებია. მხოლოდ საკითხავია, ცდილობს კი მათ განხორციელებას ხალხთა ლიგა?

ეს დაწესებულება პირმშო შვილია იმპერიალისტურ ომის და ვერსალის. ვერსალის ავაზაკური აქტის ავტორები არიან მასში გაბატონებულნი. ესაა გამარჯვებულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია შეუნარჩუნოს მათ ამ გამარჯვების შედეგები, განამტკიცოს ანტანტის ჰეგემონია დანარჩენ ქვეყნიერებაზე და გაამაგროს დღევანდელი კაპიტალისტური წყობილება. მართალია, ხალხთა ლიგას, როგორც ასეთს, თავის თავად არავითარი ძალა არ გააჩნია ამ ამოცანების განსახორციელებლად, მაგრამ ის სანქციას აძლევს მასში შემავალ სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკას და ამით უდიდეს რეაქციონურ როლს თამაშობს დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობაში.

მაგრამ ასეთი გზით, რა თქმა უნდა, მსოფლიოში მშვიდობიანობა ვერ დამყარდებოდა.

იმ თავითვე ცხადი იყო, რომ „გამარჯვებულების“ ცდა კაცობრიობის დიდი ნაწილის (გერმანია, რუსეთი და სხ.) მსოფლიო პოლიტიკიდან იზოლიაციის და ამ უკანასკნელის ხარჯზე დანგრეულ ცხოვრების გამოკეთების ვერ გამოიღებდა დადებით შედეგებს. ასეთმა პოლიტიკამ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ხალხები და სახელმწიფოები ერთმანეთს უფრო გადაკიდა და ხელმეორე მსოფლიო ომის წინაშე დაგვაყენა. ასეთმა პოლიტიკამ არაჩვეულებრივად გააღრმავა ისედაც აფორიაქებული ეკონომიური მდგომარეობა.

მსოფლიო მეურნეობის ასაღორძინებლად საჭიროა ყველა ხალხების თანამშრომლობა.

ლოიდ ჯორჯს, როგორც ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებში ყველაზე უფრო შორს მჭვრეტელს, თითქო ესმის ეს. და ამიტომაა, რომ ხალხთა ლიგაში მას უნდა მონაწილეობა მიაღებინოს იმ სახელმწიფოებსაც, რომლებისათვის დღემდი მისი კარები გადარაზული იყო. რა თქმა უნდა, ლოიდ-ჯორჯს აქ ამოქმედებს არა ჰუმანიური გრძნობა ამ გარიყულ და დაჩაგრულ ქვეყნებისადმი. იგი ამ ქვეყნების მსოფლიო სამეურნეო ცხოვრებაში შეყვანით ცდილობს შეაჩეროს ბურჟუაზიულ ქვეყნიერების და კერძოდ ინგლისის ეკონომიურ დაშლის პროცესი და გადაარჩინოს, დროებით მაინც, ბურჟუაზიის რეჟიმი და ბატონობა.

მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ისტორიულად განწირული რეჟიმის ხსნა აღემატება ადამიანის ძალას, თუნდაც ის ლოიდ-ჯორჯი იყოს, მით უმეტეს ისეთი ორგანიზაციის საშუალებით, როგორიცაა დღევანდელი ხალხთა ლიგა.

მეორე მხრივ, იგი რანაირი რეორგანიზაციაც არ უნდა მოხდეს მასში, კაპიტალისტურ წყობილების პირობებში, მაინც ძალადობაზე იქნება დაფუძნებული; და მას ყველაზე ნაკლებად შეუძლია ხალხთა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება.

და ჩვენ ამ თავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განიარაღების საკითხი, რომელიც, როგორც ვთქვით, დაისმება ლიგის უახლოეს სხდომაზე, დარჩება გადაუჭრელი. საამისოდ მას არავითარი საშუალება არ გააჩნია.

არა დღევანდელი ხალხთა ლიგა შესძლებს განიარაღების მოხდენას და მშვიდობიანობის დამყარებას,—ესაა საქმე რევოლიუციონურ პროლეტარიატის, რომელიც კიდეც აწარმოებს მედგარ ბრძოლას ამ მიმართულებით.

და გამარჯვებული პროლეტარიატი, დაამსხვრევს რა კაპიტალიზმის მექანიზმს, წესს აუგებს ამ მკვდრად დაბადებულ დაწესებულებასაც და მის მაგივრად ის მართლა შეკრავს მშრომელ ხალხთა მჭიდრო კავშირს და განახორციელებს მათ ძმურ თანამშრომლობას.

საჭიროა პასუხი

(შეკითხვა ჩვენს სოც.—რევოლიუციონერებს)

გამოვიდა ჟურნალი „შრომა“,—ორგანო საქართველოს სოც.-რევოლიუციონერთა ცე-კასი. როგორც სჩანს ცე-კას განცხადებიდან პარტია აპირებს ამ ჟურნალის რეგულიარულად გამოცემას და, თუ მას მატერიალური საშუალებანი ექნა, მისი დღიურ გაზეთად გადაქცევასაც. ამ რიგად ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში სოც.-რევოლიუციონერთა პარტია გამოდის. თავისი ლეგალური იდეური ბრძოლის იარაღით.

ჩვენ არ შევეხებით აქ იმას, თუ რა ძალას წარმოადგენდა ან და, რაც უფრო საინტერესოა, წარმოადგენს დღეს საქ. სოც.-რევოლ. პარტია, თავისი პოლიტიკური წონით—ამაზე, შეიძლება, ჩვენ შემდეგ დაგვჭირდეს ლაპარაკი.

ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ ვიკითხოთ აქ მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ: **როგორ უყურებენ ჩვენი ეს-ერები იმ პროცესს, რომელიც ეხლახან დამთავრდა რუსეთში და რომელმაც სიკვდილით დასაჯა გადაუწყვიტა რუსეთის სოც-რევ.?**

მართალია ჩვენს ეს-ერებს მიმატებული აქვთ სიტყვა: „საქართველოს“ —ჩვენ ამის წინააღმდეგი არაფერი გვაქვს—მაგრამ ჩვენთვის მარტო სახელწოდებაც, „სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტია“, ბევრს რამეს ამბობს: მოძღვრებაზე, ტაქტიკაზე და პრაქტიკაზე ამ პარტიისა უმთავრესად რევოლიუციის დროს. ჩვენი კითხვა უქმი კითხვა არ არის: ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებლად საჭიროა და ეს უნდა იყოს „პასუხი, **მიუკიბ მოუკიბავი**. მენშევიკებმა უკვე გასცეს ამ კითხვას პასუხი: მთელი მსოფლიოს მენშევიკურ პარტიებმა მე-2 ე და 2 ნახ. ინტერნაციონალების სახით—გაამართლეს ურიცკის და ვოლოდარსკის მკვლელი პარტია ჩვენ ეს არც გაგვკვირებია და არც გვწყენია; ფაქტიურად ეს-ერების სახით გასამართლებული იქნა პროლეტარულ ტრიბუნალის მიერ თვით ეს ინტერნაციონალები და, აბა სხვას რას იტყოდენ მათზე გამოტანილ განაჩენის შესახებ ისინი?

ამავე დროს აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პროცესზე ნათლად გამოირკვა **ფაქტიური და ფორმალური საბუთებით, და ცოცხალი მოწმეებით**, რომ სოც.-რევოლიუციონერთა“ კონტრრევოლიუციონური მოქმედება პროლეტარულ რევოლიუციის წინააღმდეგ (ტერორი, ექსპროპიაცია, შეიარაღებული აჯანყება, აფეთქება ხიდების, მატარებლების, კავშირი ანტანტის სახელმწიფოებთან, მათგან ფულების მიღება, ნამდვილი ჯაშუშობა და სხვა) არ იფარგლება მარტო 1917 და 1918 წლ. როგორც ეს სურთ ზოგიერთებს დაგვიმტკიცონ, არამედ შეუწყვეტლივ წარმოებს დღევანდლამდის (ადმინისტრატიული ცენტრის არქივის დოკუმენტები: ზენზინოვის წერილები, დეპეშა პიშონთან, ბენეშთან დამოკიდებულება, კერენსკის და ბრუშვინგის განცხადება და სხვები: თვით ესერებიც არ უარყოფენ ამ დოკუმენტების სიმართლეს). ასე, რომ ჩვენ დავა არ დაგვჭირდება იმის შესახებ, რომ პროცესზე სოც.-რევოლ. პარტიის „საქმიანობა“ საკმაოდ და დოკუმენტალურად იქნა გამოაშკარავებული.

— ჩვენმა სოც.-რევოლიუციონერებმა (ვიმეორებთ ეს სახელი ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება), რომლებიც უკვე გამოვიდენ ჩვენი ცხოვრების პოლიტიკურ ასპარეზზე თავისი საკუთარ ჟურნალით და გვპირდებიან ყოველდღიურ გაზეთს, უნდა გვითხრან გადაჭრით და ვასაგებათ: რა აზრის არიან ისინი ამ თავის ერთ სახელწოდების და უფროს მონათესავე (ჩვენ მეტს არ ვიტყვით) პარტიის პროცესის და მის მიმართ გამოტანილ განაჩენის შესახებ. ამაზე ჟურნალ „შრომაში“ ერთი სიტყვაც არ არის დაძრული.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ეს პასუხი ჩვენ უნდა მივიღოთ.

გ. ბახტაძე.

მდგომარეობა გერმანიაში

ნაუენი. 2 სექტემბერი. ობერსვალიდან (ბერლინის ახლოს) იტყობინებიან, დამშეულთა აჯანყების შესახებ, რომელიც იქ მოხდა. აჯანყების მიზეზია მაღალი ფასებით მცხოვრებთა უკმაყოფილება, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა. უწესოების დროს ამტვრევდენ მაღაზიებს. ჩაერია პოლიცია, რომელმაც დაუწყო აჯანყებულებს ხროლა, რასაც შედეგად მოჰყვა 10 კაცის დაჭრა.

მდგომარეობა სერიოზულია.

ნაუენი. 2 სექტემბერი. სერიოზულ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, ბერლინის პოლიციის უფროსმა გადასდო თავისი გამგზავრება ნიუ იორკში პოლიციელებს კონგრესზე დასასწრებლად.

მდგომარეობა უარესდება.

ბორდო. 2 სექტემბერი. გაზეთ „ფრეიჰაიტის“ ცნობით პადეგორნში არტილერიის პოლკების სალდათებმა—რესპუბლიკანელებმა განაცხადეს პროტესტი ყაზარმებში მონარქისტების გამოსვლების წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ ისინი სასტიკად შეებრძოლებიან ამ მოვლენას. მდგომარეობა გერმანიაში სულ უფრო და უფრო უარესდება. ყოველ დღე უშვებენ 2 მილიარდ მარკას. მუშათა კლასებში მღელვარებაა.

კავშირების მოთხოვნილებანი.

ბორდო. 2 სექტემბერი. პროფკავშირებს დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნიათ ის ზომები, რომელიც მთავრობამ მიიღო სიძვირის წინააღმდეგ და გადასწყვიტეს გამართონ მთავრობასთან მოლაპარაკება ახალი ზომების მიღების შესახებ.

ბერლინის მთავრობის სიხუსტე.

ბორდო. 2 სექტემბერი. რეიხსტაგის საკონტროლო კომისიამ განიხილა საკითხი ბავარიასთან შეთანხმების შესახებ. კანცლერი ვირტი უარყოფდა, რომ შეთანხმება ხელსაყრელია ბავარიისათვის და რომ იგი გამოჰყოფს ბავარიას გერმანიის სხვა სახელმწიფოების რიცხვიდან.

რეიხსვერის ყოფა ქცევა.

ბორდო. 2 სექტემბერი. რეიხსვერის 18 პოლკის სალდათები—თავგამოდებული რეაქციონერები არიან. ისინი პატივს ცემენ ექსკაიზერის პორტრეტებს და შეურაცყოფას აყენებენ პრეზიდენტ ებერტის სურათს. ოფიცრები ატარებენ კასკებზე იმპერატორის არწივს.

გაზ. „ცეგლიხე რუნდშაუს“ დახურვა.

ბორდო. 2 სექტემბერი. გაზ. „ცეგლიხე რუნდშაუს“ მშრომელებმა ან გარიში გაუსწორა რედაქციის შემადგენლობას და მოსამსახურეებს და შევიდა გაზ. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგის“ თანამშრომელთა შემადგენლობაში.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

გერმანია და ანტანტა

საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილება.

ნაუენი. 1 სექტემბერი. გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემის შესახებ, საკონტრიბუციო კომისიამ გამოიტანა დადგენილება, რომ ვინაიდან გამუდმებით ეცემა მარკის კურსი, გერმანიამ დაჰკარგა ყოველგვარი კრედიტი, როგორც შიგნივე, ისე საზღვარ გარედ და ამიტომ მორატორიუმის მინიჭების საკითხის გადაწყვეტილება უნდა იქნეს დროებით გადადებული. სანამ არ იქნება შემუშავებული გერმანიის ფინანსების რადიკალური რეფორმების გეგმა, ამასთანავე საკონტრიბუციო კომისიამ გადასწყვიტა მორიგ საკონტრიბუციო გადასახადების შეტანის დროს მიღებულ იქმნეს გერმანიის ხაზინის ბონები, რომელიც 6 თვის განმავლობაში გერმანიამ უნდა გამოისყიდოს ოქროთი.

მძიმე შთაბეჭდილება.

რომი. 2 სექტემბერი. საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილებამ მოახდინა ბერლინში ცუდი შთაბეჭდილება. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა გადასინჯოს მოკავშირეთა მოთხოვნილებანი. კომერციულ წრეებში დიდი მღელვარებაა.

ბერლინის წრეებში.

ჰანოვერი. 2 სექტემბერი. საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილებას ბერლინის პოლიტიკური წრეები ძალიან ფრთხილად და თავდაჭერილად უცქერიან, ვინაიდან მოელიან გერმანიის წარმომადგენლის სტატს-სეკრეტარიატის შრეიდერის ჩამოსვლას. ამის გამო გადაიდო კანცლერ ვირტის თათბარი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. ბელგიასთან მოლაპარაკება გარანტიების შესახებ ძალიან რთულდება, მაგრამ არის იმედი, რომ მოლაპარაკება სასურველ შედეგს მიაღწევს.

ბანკების წრეები გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ, თუმცა გერმანიამ მიაღწია შესვენებას, რაც მას ძალიან ძვირად დაუჯდა, მაგრამ თუ ამ ხნის განმავლობაში საკონტრიბუციო საკითხი საფუძვლიანად არ იქნება განხილული ახალი კონფერენციის მიერ,—ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ როგორ მოახერხებს გერმანია შექმნილ აუტანელ მდგომარეობიდან გამოსვლას.

გერმანიის პრესის აზრი.

ჰანოვერი. 2 სექტემბერი. გაზ. „გერმანია“ ამბობს, რომ საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილება მაინც არის ცოტაოდენი შეღავათი, თუმცა ამ გადაწყვეტილებას არაფერი არ მიუცია მრეწველობისათვის, გაზ. „ფისსიშე ცეიტუნგი“ ამბობს, რომ საკონტრიბუციო კომისიის აღიარება იმისა, რომ გერმანიას არ შეუძლია გადახდა, უდრის მორატორიუმის მინიჭებას. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატი“ ხაზს უსვამს ბრეცბერგის მონაწილეობას საკონტრიბუციო კომისიის სხდომებზე და გამოსთქვამს იმედს, რომ შემოდგომაზე მომავალ კონფერენციაზე მხედველობაში იქნება მიღებული წარსული გამოცდილება და საკონტრიბუციო საკითხი დაყენებული იქნება უფრო პრაქტიკულ ნიადაგზე. გაზ. „ფრეიჰეიტი“ ამბობს, რომ მდგომარეობა ისევ გამოურკვეველი რჩება და რომ ასეთი შესვენება, გერმანიას არ გამოიყვანს ცხოვრების (გამოტოვებულია)... გაზ. „როტე ფანე“ ამბობს, რომ პუანკარეს გამარჯვება მოასწავებს გერმანიის კატასტროფას და მოუწოდებს მუშებს ისეთი ორგანოს შექმნისაკენ, რომელსაც შეეძლება დაუყოვნებლივ დაიწყოს ბრძოლა მოსალოდნელ შიმშილობის წინააღმდეგ.

ბორდო. 2 სექტემბერი. ბერლინის გაზეთები, გარდა უკიდურეს მემარჯვენეებისა, ფიქრობენ, რომ საკონტრიბუციო კომისიის დადგენილება შეასუსტებს ნერვების დაჭიმვას და რომ „სანქციის“ რეჟიმის საშიშროება ამ ჟამად თავიდან არის აშორებული. მაგრამ საკონტრიბუციო საკითხში, წინანდებურად დიდი დაბრკოლებები მეფობს.

პარიზის წრეებში.

ბორდო. 2 სექტემბერს პარასკევს მინისტრთა საბჭომ მიიღო ცნობა საკონტრიბუციო კომისიის უკანასკნელ გადაწყვეტილების შესახებ. მინისტრთა საბჭო აუცილებლად სთვლის დაიტოვოს მოქმედების თავისუფლება განზრახულ ღონისძიებათა განხორციელების დროს. იზიარებს რა პუანკარეს აზრებს, რომელიც გამოთქმული იყო ლონდონში, საფრანგეთის კაბინეტმა გადასწყვიტა დაჟინებით მოითხოვს ახალი კონფერენციის საჩქაროდ მოწვევა რომელზედაც მოწვეულნი იქნებიან ყველა მოკავშირეები და, რომელიც განიხილავს საკონტრიბუციო და მოკავშირეთა ვალების საკითხს. შემუშავებულია პასუხი ბალფურის ნოტაზე მოკავშირეთა ვალების შესახებ.

ჰანოვერი 2 სექტემბერი „გავასის“ ცნობით საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილებას პარიზის პოლიტიკური წრეები აძლევენ დადებითი მნიშვნელობას. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს პუანკარემ გამოსთქვა სრული კმაყოფილება და ეს განწყობილება ამჩნევია მთელ პრესას.

საფრანგეთის პრესის აზრი

ბორდო 2 სექტემბერი უკვეთებს რა კომენტარიებს საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილებას გაზ. „ტანი“ ამბობს; „საკონტრიბუციო კომისიის წინასწარი გადაწყვეტილება არის მხოლოდ პირველი ეტაპი საერთო და საბოლოო გადაწყვეტილებისათვის.“

ინგლისის პრესის აზრი

ჰანოვერი. 2 სექტემბერი. ლონდონის პრესა ფიქრობს, რომ გამონახული იქნება კომპრომისი მორატორიუმის მინიჭების სახით ნოემბრის თვემდე და ამ მორატორიუმს დაარქმევენ რაიმე სხვა სახელს. ამ დროისათვის გამონახული იქნება რაიმე საშუალება გერმანიის დასახმარებლად. გაზ. „ტაიმსი“ ამბობს, რომ საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილება არის დროებითი შესვენება, რის მერხებითაც საკონტრიბუციო საკითხს უფრო სერიოზულად განიხილავენ.

ბრეტბერგის გამგზავრება

ჰანოვერი. 2 სექტემბერი. დღეს დილით ბრეტბერგი გაემგზავრა ლონდონში საკონტრიბუციო კომისიის სხდომების შესახებ ანგარიშების წარსადგენად.

ახალი ემისია

ნაუენი. 2 სექტემბერი. მარკის კურსის დაცემის გამო სახელმწიფო ბანკი იძულებული შეიქნა გამოეშვა 50 და 100 ათასი მარკის ღირებულების ბანკნოტები, დახურდავების გასაადვილებლად.

ზომები მარკის კურსის დაცემის წინააღმდეგ.

ნაუენი. 2 სექტემბერი. სხვა და სხვა ღონისძიებათა შორის, რომელიც მიიღო გერმანიის მთავრობამ გერმანიის მარკის კურსის დაცემის წინააღმდეგ გადასწყვიტა აკრძალოს ნედლის თამბაქოს შემოტანა და შესწყვიტოს არა პირველი მოთხოვნილების საგნების სისტემატიური შემოტანა.

ბრეტბერგის აზრი

ჰანოვერი. 2 სექტემბერი. გაზ. „ტაიმსის“ ცნობებით ინგლისის დელეგატი საკონტრიბუციო კომისიაში ბრეტბერგი კმაყოფილია იმ ერთსულოვნებით, რომელიც იყო კომისიის სხდომებზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დახმარება წითელარმიელთა ოჯახებს.

მოსკოვი. 2 სექ. (რადიო). რევოლიუციონურ სამხედრო საბჭომ, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გამოუშვეს თავიანთ უწყებებში ბრძანება, რომელშიდაც წინადადებას იძლევიან მიიღონ სასწრაფო ზომები წითელ არმიელთა და ინვალიდების ოჯახების მინდვრების დასათესად, წითელი არმიის თავისუფალი ნაწილის გამოყვანით, ისე რომ ამ მუშაობამ ხელი არ შეუშალოს ჯარების სამხედრო მომზადებას ეს სამუშაო აღიარებულია დამრტყმელად. უნდა განაახლონ მუშაობა ცენტრალურმა და საგუბერნიო თესვის სამეულებმა იმ გუბერნიებში, სადაც ღებულობენ სახელმწიფო დახმარებებს თესლით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წითელ არმიელების და ინვალიდების ოჯახების თესლებით მომარაგებას.

გლეხების სასოფლო-მეურნეობის კლუბი.

მოსკოვი. 2 სექ. (რადიო). მოსკოვში „გლეხის სახლში“ შესდგა გლეხების სასოფლო-მეურნეობის კლუბის წევრთა პირველი საერთო კრება. დამსწრეთა შორის უმრავლესობა გლეხებია. დაესწრენ წითელი არმიის წარმომადგენლები. მოისმინეს აგრონომიულ მოხსენებათა მთელი რიგი. აირჩიეს კლუბის გამგეობა.

იაფი პური.

მოსკოვი. 2 სექ. (რადიო). მოსკოვის მშრომელ მოსახლეობის იაფი პურით უზრუნველსაყოფად, მოსკოვის მომხმარებელი საზოგადოება ადიდებს პურის გამოცხობას, 7,000 ფუთი დღე და ღამეში.

ფასი შავ პურზე—40 პროცენტით ნაკლებია ბაზრის ფასებზე.

თესლი და სასურსათო გადასახადის კამპანია

მოსკოვი. 2 სექ. (რადიო). 31 აგვისტოსათვის მოგროვებულია მთელი რესპუბლიკის სატრანსპორტო პუნქტებში 4 მილიონი სათესლე მარცვლეული.

გამზადებულია გასაგზავნად—3 მილიონზე მეტი. სულ 31 აგვისტოსათვის შესრულებულია 88 პროცენტი დასახულ რაოდენობისა.

ვლადიმირის და პენზის გუბერნიებში შესრულებულია 100 პროცენტი, შემდეგ ბრიანის, სევერო დვინის ტულის გუბერნიებში შესრულებულია 100 პროცენტი. ყველაზე ჩამორჩენილია ტამბოვის გუბერნია, სადაც შესრულებულია მხოლოდ 13 პროცენტი ნაანგარიშევ რაოდენობისა.

ჩუვაშის ოლქის სასურსათო აპარატს გამოეცხადა მადლობა, სადაც ვადამდე იქნა შესრულებული ჭვავის თესლის მოგროვება.

ასეთივე მადლობა გამოეცხადა ტვერის სასურსათო აპარატს.

30 აგვისტოსათვის სტავროპოლის გუბერნიაში მოგროვებულია 2 მილ. ფუთი ნატურ გადასახადი, დასახულ რაოდენობის 30 პროცენტი.

ალექსანდროვის მაზრაში პირველად შეიტანა ნატურალური გადასახადი უცხენო გლეხმა, რომელიც აღნიშნეს წითელ დაფაზე.

— კრასნოდარის ოლქში კამპანიის დაწყებიდან შემოვიდა ნატურ-გადასახადით 6,800,000 ფუთი. საწყობები ვერ ასწრებენ მარცვლეულის მიღებას.

— ყირიმში გადასახადის შემოსავალი მატულობს დღითი-დღე. პირველი ადგილი უჭირავს სიმფეროპოლის მაზრას.

— უკრაინაში მოგროვებულია 3 მილიონი ფუთი მარცვალი.

საჰაერო ფოსტა.

მოსკოვი. 2 სექტ (რადიო). შესრულდა პირველი თვე მას შემდეგ, რაც მუშაობს მოსკოვისა და ნიჟნი ნოვგოროდის საჰაერო ხაზი. მოახდინეს 27 რეისი. მუშაობის წესრიგით რუსეთის საჰაერო ფრენა არ ჩამოუვარდება უცხოეთისას.

ბუხარაში

მოსკოვი. 3 სექტემბერი (რადიო). ბუხარის სამხედრო საქმეთა სახალხო ვიზირმა ტამარინმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ბასმაჩების ავანტიურა, რომელიც მიმართული იყო ბუხარის სოციალისტურ მთავრობის ჩამოგდებისაკენ, სრულიად მოსპობილია. აჯანყებულთა დიდი უმრავლესობა გადავიდა ბუხარის საბჭოთა მთავრობის მხარეზე. ამ დღეებში დამთავრებულმა ბუხარის საბჭოების ყრილობამ ნდობა გამოუცხადა ეხლანდელ რევოლიუციონურ მთავრობას ბუხციკის სახით.

1 სექტემბერს მოსკოვმა დიდი ზეიმით იდღესასწაულა ბუხარის ხალხის დამოუკიდებლობის სამი წლის თავი.

სრულიად რუსეთის საბჭოების მე 10 ყრილობის გამო.

მოსკოვი. 4 სექტემბერი. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ადგილობრივ საბჭოების ხელახალი არჩევნების ვადის დანიშვნისა და სრულიად რუსეთის საბჭოების მე 10 ყრილობაზე დელეგატების არჩევის საკითხის შესახებ დაადგინა: ვინაიდან სრულიად რუსეთის საბჭოების მე-10 ყრილობა უნდა იქნეს მოწვეული ამა წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საგუბერნიო და საოლქო აღმასკომებს და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრ. აღმას. კომიტეტებს მიიღონ ზომები, რათა საბჭოების ხელახალი არჩევნები და საბჭოების ყრილობაზე დელეგატების ისე როგორც საბჭოების მე-10 ყრილობაზე წარმომადგენლების არჩევნები დაიწყოს 16 ოქტომბრიდან. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთის გუბერნიებში საგუბერნიო აღმასკომებს ენიჭებათ უფლება შეუდგენ არჩევნებს 1922 წლ. 1 სექტემბრიდან.

ჰაერით მიმოსვლა

მოსკოვი 1 სექტემბერი. პეტროგრადში საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მონაწილეობით სდგება შერეული სააქციონერო საზოგადოება ჰაერით საფოსტო, სატვირთო და სამგზავრო მიმოსვლის მოსაწყობად პეტროგრად-ხარკოვ, ტაშკენტ-ოდესა-ვლადივოსტოკს შორის.

რ. ს. ფ. ს. რ. დეკრეტები უცხო ენებზე.

მოსკოვი. 3 სექტემბერი (რადიო). საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა სახელმწიფო გამომცემლობას გამოსცეს გერმანულ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე რ. ს. ფ. ს. რ. უმნიშვნელოვანეს დეკრეტთა კრებული.

გადასახადი საზოგადოებებზე

მოსკოვი. 3 სექტემბერი (რადიო). ფინანსთა სახ. კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა, რომლის თანახმად ყოველგვარ დაწესებულებამ და წარმოებამ უნდა გადაიხადოს ერთ დროული გადასახადი საზოგადოების ძირითადი თანხის 5 პროც. რაოდენობისა. გადასახადი უნდა იქნეს აკრეფილი არა უგვიანეს ექვსი თვისა საზოგადოების წესდების გამოქვეყნების დღიდან.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანიაში

უწესოება სასურსათო ნიადაგზე.

მოსკოვი. 3 სექტემბერი (რადიო). ბერლინის მახლობლად დაიწყო არეულობა სურსათის ნაკლებობის ნიადაგზე. ბრბომ დაამტვრია რამოდენიმე მაღაზია. პოლიციამ იარაღი იხმარა. დაჭრილია 10 კაცი. ბრაუნშვეიგში სიძვირის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დროს ბაზრის მახლობლად მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის, ბურჟუაზიული გაზეთები სწერენ, რომ დემონსტრაციას უნდოდა მაღაზიების გაცარცვა. ამგვარივე უწესოებას ადგილი ქონდა ბერლინის ერთ ერთ მუშათა კვარტალში.

გერმანიის პარტიებში.

მოსკოვი. 3 სექტემბერი (რადიო). „ფორვერტსის“ ცნობით მოლაპარაკება გერმანიის სოც. დემოკრატიული უმრავლესობის პარტიისა და დამოუკიდებელთა შორის წარმატებით სწარმოებს. დამოუკიდებლებმა დაადგინეს დანიშნონ 20 სექტემბრისათვის პარტიის ყრილობა, რომ დააჩქარონ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა.

გერმანიის პროფ. კავშირებში.

მოსკოვი. 3 სექტემბერი (რადიო). 30 აგვისტოს ბერლინში შესდგა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა საერთო კრება. მეტალისტთა კავშირმა და მთელ რიგ სხვა პროფ. კავშირებმა გამართეს განსაკუთრებული კრებები. მიუხედავად იმისა, რომ პროფ კავშირთა ხელმძღვანელნი მოუწოდებდენ მუშებს ზურგი შეექციათ ამ კრებებისათვის. კრებებზე გამოცხადდა 5.000 კაცზე მეტი, კრებამ მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციებისა, გერმანიის მუშების პირობების გაუმჯობესებისა და მათი სიმშილისაგან გადარჩენის შესახებ. არჩეულ იქნა კო-

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ სკოლის ერთ წლიან კურსებზე მიღების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

ცირკულიარული

სკოლაში მიღება დაიწყება ამა წლის 10 სექტემბერს და გაგრძელდება ამავე თვის 20 რიცხვამდე.

შენიშვნა: გამოგზავნილ უნდა იქნან ამხანაგები იმ ვარაუდით, რომ ისინი ჩამოვიდენ თბილისში არა უადრეს ამა წლის 10 სექტემბრისა. გამოგზავნილი ამხანაგი, რომელიც ჩამოვა **20 სექტემბრის შემდეგ** არ იქნება მიღებული.

§ 1. ცენტრალური პარტიული სკოლა მიზნად ისახავს საბჭოთა—პარტიულ მუშაკების მომზადებას და ამიტომ ორგანიზაციებს მართებს სერიოზულად მოეპყრან კურსანტების შერჩევას და მხედველობაში მიიღონ შემდეგი:

ა) შკოლაში იგზავნებიან პარტიის წევრნი, ან კანდიდატები მუშებიდან და გლეხებიდან, რომელთაც აქვთ თეორეტიული მეცადინეობის უნარი და დაამტკიცეს თავის ერთგულება **საბჭოთა ხელისუფლებისადმი.**

ბ) იმ ამხანაგებმა, რომელნიც შედიან 1-ლ საფეხურის შკოლაში, უნდა იცოდენ წერა-კითხვა, ხოლო მე-2 საფეხურის კურსანტებმა, გარდა ამისა, უნდა ეხერხებოდესთ წაკითხული ზეპირად და წერილობით მოთხრობა.

გ) იგზავნებიან ამხანაგები არა უმეტეს 35 წლისა და არა ნაკლებ 18-ისა.

შენიშვნა: ვინც ამ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს და მეცადინეობის 2 კვირის განმავლობაში არ გამოიჩენს სერიოზულ თეორეტიულ მუშაობის უნარს, უკანვე იქნება დაბრუნებული.

§ 2. ჩამოსული ამხანაგები ჩაირიცხებიან შკოლაში საექიმო გასინჯვის შემდეგ. ის პირნი, რომელნიც ცოტა ხნის წინად დაავადმყოფებულ იქნენ მძიმე სნეულებით, აგრეთვე სუსტნი. რომელთაც აქვთ მწვავე სისხლნაკლულოვნება, ნევრასტენია, ტუბერკულოზი, ვენერიული ავადმყოფობანი და სხვა შკოლაში **არ იქნებიან მიღებულნი.**

§ 3. შკოლაში ყველა კურსანტები იქნებიან მოთავსებული საერთო საცხოვრებელში (общежитие) აგრეთვე დაკმაყოფილებულნი იქნებიან სასწავლო ნივთებით, მეცადინეობის დროს, წიგნებით, სადილობით და სტიპენდიით 300 ათასი მანეთი).

შენიშვნა: პარტიულ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ მიიღომ სათანადო ღონისძიება კურსანტების ოჯახების უზრუნველსაყოფელად ადგილობრივ საშუალებებიდან როგორც მაგ. შეღავათების დაწესება, ადგილობრივ გადასახადებისაგან, ნატურალურ ბეგრის მოხდისაგან და კომუნალურ ხარჯების ანაზღაურებისაგან და სხვ. სრულ განთავისუფლებამდე.

§ 4. მეცადინეობის დროს შვებულებები არავის მიეცემა, ვინაიდან სასწავლო წლის განმავლობაში იქნებიან მოკლე ვადიანი კანიკულები.

§ 5. კურსანტები თვითონ უნდა ემსახურონ შკოლას, (დალაგება და სხვა შრომის ბეგრის შესრულება).

§ 6. ორგანიზაციებს ევალებათ:

ა) თავსიდვან გამოგზავნილ ამხანაგების საგზაო ხარჯები.

ბ) დაურთონ მანდატს დაბეჭდილ კონვერტში მდივნის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდის დასმით:

1. კურსანტების ტანთსაცმელის და საცვლების არმატურა:

შენიშვნა: წარმოგზავნილ ამხ. უნდა ქონდეთ ტანთსაცმელის სრული კომპლექტი, და ვალდებულნი არიან წამოიღონ თავიანთი საწოლის მოწყობილებანი.

2) მოკლე ცნობები კურსანტის შესახებ. (წლოვანება, ეროვნება, განათლების ხარისხი, სოციალური მდგომარეობა, პროფესია, პარტიაში შესვლის დრო, თანამდებობა, რომელიც მას უკავია საბჭოთა სამუშაოზე 21 წლიდან).

3) კურსანტის ხელწერილი იმის შესახებ, რომ შკოლაში შესვლის ყველა პირობები მას გაცნობილი აქვს.

ხსენებულ დოკუმენტების გარეშე კურსანტები **შკოლაში არ იქნებიან მიღებულნი.**

§ 7. ამა ცირკულიარის სისრულეში მოყვანა და კერძოდ იმის შემოწმება, თუ გამოგზავნილი ამხანაგები აკმაყოფილებენ ცირკულიარის მოთხოვნილებებს მომზადების და ჯანმრთელობის მხრივ, ევალებათ სამაზრო კომიტეტების მდივნებს მათი პასუხისმგებლობის ქვეშ.

განაწილება ორგანიზაციებს შორის

	II საფეხურის სკოლაში		I საფეხურის სკოლაში	
1) კომუნისტურ ახაგაზრდ. კავშირის ცენტრ. კომიტ.	25	„	25	„
2) ქალთა განყოფილების	25	„	25	„
3) ქალ. ტფილისს — —	20	„	—	„
4) ტფილისის მაზრის —	10	„	15	„
5) აფხაზეთს — — —	10	„	—	„
6) ბათუმის ოლქს — —	10	„	—	„
7) სამხრეთ ოსეთს — —	15	„	—	„
8) სიღნაღს — — —	5	„	7	„
9) თელავს — — —	5	„	7	„
10) დუშეთს — — —	5	„	7	„
11) ფოთს — — — —	6	„	—	„
12) სენაკს — — — —	6	„	7	„
13) ქუთაისს — — —	10	„	—	„
14) ახალქალაქს — —	4	„	7	„
15) გორს — — — —	10	„	—	„
16) ბორჩალოს — — —	5	„	7	„
17) ლეჩხუმს — — —	5	„	7	„
18) ოზურგეთს — — —	5	„	7	„
19) ზუგდიდს — — —	5	„	7	„
20) შორაპანს — — —	10	„	—	„
21) რაჭას — — — —	3	„	7	„
22) ახალციხეს — — —	5	„	7	„
23) თიონეთს — — —	4	„	8	„

საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანი **ხაზაშვილი.**

ც.კ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე ა. კვირიკაძე.

მისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ადგილობრივ კომისიებთან შეთანხმების მიხწევა, იმ მიზნით, რომ მომზადდეს ნიადაგი სრულიად გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესის მოსაწვევად არა უგვიანეს ერთი თვისა. „ფრეიხეიტ“ და „ფორვერტსი“ სდუმან ამ კრების შესახებ და აკრიტიკებენ მხოლოდ მიღებულ რეზოლიუციებს, სხვათა შორის, იმ მუხლს, რომელიც ლაპარაკობს ბანკების კონტროლზე.

ჟორჟ სორელის გარდაცვალება.

მოსკოვი. 3 სექტემბერი (რადიო). პარიზში გარდაიცვალა ჟორჟ სორელი, რომელიც ითვლება საფრანგეთის სინდიკალიზმის დამაარსებლად.

გერმანიის რეპარაციები.

მოსკოვი. 3 სექტემბერი (რადიო). სარეპარაციო კომისიის სხდომაზე ხანგრძლივ კამათის შემდეგ ორი ხმით ერთის წინაალმდეგ დადგენილ იქნა უარყოფილ იქნეს გერმანიის წინადადება მისთვის აუცილებელ მორატორიუმის მიცემის შესახებ. მეორეს მხრივ კომისია დათანხმდა გერმანიის მთავრობის მიერ ბელგიის იმ ვალების გადახდაზე, რომელზედაც უკანასკნელს განსაკუთრებული უფლებები აქვს, არა ნაღდი ფულით, არამედ გრძელ ვადიანი ვალდებულებებით გერმანიის ხაზინისა, რომელნიც იქნებიან გერმანიის რეიხსტაგის ბანკის გარანტიით ახჭურვილნი. საკითხი საფრანგეთის კუთვნილ რეპარაციების შესახებ განხილული არ არის.

2 სექტემბერს მილიერანის თავმჯდომარეობით შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა სარეპარაციო კომისიის დადგენილებანი. ამ სხდომაზე გამორკვეულია, თუ რანაირად უნდა იმოქმედოს საფრანგეთმა მომავალში.

სარეპარაციო კომისიის პასუხმა ბერლინში მოახდინა შთაბეჭდილება ისეთი გადაწყვეტილებისა, რომელიც მიღებულია საბოლოო განხეთქილების თავიდან ასაცილებლად. არის იმედი, რომ შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის დამლევს ამერიკის მონაწილეობით ახალი კონფერენციის მოწვევა სარეპარაციო საკითხების შესახებ, რომელზედაც დაისმება ხსენებული საკითხი მთელი სიგძე სიგანით საერთაშორისო დავალიანებასთან დაკავშირებით. ბერლინში ფიქრობენ, რომ ბელგიასთან შეთანხმების მიხწევა უფრო ადვილია ვინემ პუანკარესთან. გერმანული გაზეთების უმრავლესობა აფასებს სარეპარაციო კომისიის გადაწყვეტილებას, როგორც შესვენებას, რომელიც გერმანიას დროებით აქვს მიცემული.

კათოლიკეთა ყრილობა მიუნხენში.

მოსკოვი. 2 სექტემბერი (რადიო). 29 აგვისტოს მიუნხენში გაიხსნა კათოლიკეთა ყრილობა. გაიმართა პროცესია, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე ათეულმა ათასმა გლეხებმა, რომლებიც ჩამოვიდენ მთელი ბავარიიდან და ტიურინგიიდან, სტუდენტების კორპორაციამ და პატრიოტულმა კავშირებმა. პროცესიაში მონაწილეობა მიიღეს ყოფილმა კრონპრინცებმა—რუპრეხმა, ალბრეხტმა და მთავრობის ოჯახის სხვა წევრებმა.

მიუნხენის არქიეპისკოპოსი გამოვიდა სიტყვით, რომელშიდაც სასტიკად ილაშქრებდა გერმანიის რევოლიუციის წინაალმდეგ და უწოდა მას დანაშაული და ღალატი სამშობლოს წინაშე.

პროცესიის შემდეგ გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელსაც დაესწრო 300 კაცი, **გამოვიდა ბურგომისტრი ხოციალ დემოკრატი შმიდტი, რომელმაც უსურვა კათოლიკეთა კავშირს წარმატებითი მუშაობა.**

რეიხსბანკი.

მოსკოვი. 3 სექტემბერი რეიხსბანკის წრეებში აცხადებენ, რომ წინადადება რეიხსბანკმა შეიტანა ოქროს ფონდი ინგლისის ან სხვა რომელიმე ქვეყნის ბანკში სრულებით მიუღებელია, ვინაიდან რეიხსბანკი, თვით მოკავშირეთა მოთხოვნით არის ავტონომიური დაწესებულება. გერმანიის მთავრობას, კიდეც რომ უნდოდეს, არ შეუძლია აიძულოს რეიხსბანკი შეასრულოს მოკავშირეთა მოთხოვნილება.

სათესლე გადასახადი გერმანიაში.

მოსკოვი. 1 სექტემბერი. გერმანიის მსხვილი მიწის მუშები განაგრძობენ ბრძოლას სათესლე გადასახადის კანონის წინაალმდეგ, ემყარებიან რა ცუდ მოსავალს და იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც მათ უხდებათ სასოფლო მეურნეობის წარმოება.

მიწის მუშების კავშირმა პომერანში გამოაქვეყნა წერილი, რომელიც მოითხოვს სათესლე გადასახადის გაუქმებას. წერილში აღნიშნულია, რომ სათესლე გადასახადის კანონი მიუღებელია.

გაზ. „ფორვერტსი“ მოუწოდებს მთავრობას მიიღოს გაბედული ზომები მცხოვრებთ უღარიბესი ნაწილის პურით უზრუნველყოფისათვის.

იტალია

ფაშისტების თავგასულობა.

ბორდო. 2 სექტემბერი (რადიო). „ჟურნალ დ'იტალიას“ ცნობით 2000 ფაშისტი დეპუტატი პინუტის მეთაურობით, მიუხედავად სამხედრო ძალების წინაალმდეგობისა, შევიდენ ტერნის ქარხნები, სადაც მუშაობს 3,000 მუშა, სცემეს სოციალისტს კობოლს და დაანგრიეს შენობა.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი.

ბორდო. 2 სექტემბერი (რადიო). ანგორის ცნობით საბერძნეთის ჯარები სრული უკან დახევის შესაძლებლობის წინაშე დგანან სამი სექტორით—ისკანდერის მახლობლად და იზმიდის სამხრეთით. სტამბოლის ცნობებით, იქ საბერძნეთის ჯარები განადგურებულად მიაჩნიათ. აღდგენა იმის, რაც დაკარგეს ბერძნებმა ყარა-გისართან და ესკი-შეხისთან, შეიძლება მხოლოდ დიდი შრომით. ოსმალთა ჯარების შეტევა გრძელდება. მას შემდეგ რაც მათ დაამარცხეს ბერძნების ჯარების მეოთხე დივიზია, ბერძნები აწარმოებენ ბრძოლას მხოლოდ იმ ნაწილების დასაცავათ, რომლებიც უკან იხევენ. ფიქრობენ, რომ ახალი პოზიციების დაკავება მოხდება სმირნის მახლობელ—ზონაში, რომელიც გადაეცა ბერძნებს სევრის ხელშეკრულების ძალით. შესაძლებელია, რომ ბერძენთა უმაღლესი სარდლობა შეეცდება დაიბრუნოს ტერიტორია, რომელიც დაკავებული იყო მის მიერ შარშანდელ შეტევის დროს და დაიცვას ის პოზიციები, სადაც მაგრდებიან უკანასკნელი ძალები. ფიქრობენ თუ კი ოსმალეთის ჯარის ნაწილები ჩრდილოეთიდან განაგრძობენ შეტევას ბერძნებს აიძულებენ დასტოვონ ბრუსსა, რომელიც ორი წელია მათ ხელთ არის. ამ ჟამად მდგომარეობა ასეთია; ბერძნები მთელ ფრონტზე უკან იხევენ, ცხენოსანთა ნაწილები მისდევენ უკან დახეულებს ყასსაბის მიმართულებით. მოსალოდნელია, რომ ბერძნები კუტაკიასაც დასცლიან. იბადება სერიოზული საკითხი მოასწრებენ თუ არა ბერძნები ახალ პოზიციების დაჭერას.

ბორდო. 2 სექტემბერი. ანგორის ცნობით ოსმალეთის ჯარები აწარმოებენ შეტევას უშაკ აფიონ ყარა გისარის რკინის გზების ორივე მხრიდან და მიიწევიან ბრუსისაკენ ოსმალთა წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ ტუმპლუკის (?) დაჭერას, რომელიც ითვლებოდა ბერძნების ბაზად მათი შემოტევის დროს.

მოსკოვი. 2 სექტემბერი (რადიო). ანგორის ცნობით, ოსმალეთის ჯარებმა დაიწყეს ახალი შეტევა ოცი კილომ. ფრონტზე. ბერძნების ჯარები იხევენ და ტოვებენ მძიმე არტილერიას. ოსმალეთის ავანგარდი მიიწევს ბრუსისაკენ. (კავროსტა).

შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი 2 სექტემბერი (რადიო). ხარბინში ჩავიდა ორენბურგის და ზაბაიკალის ყაზახის ერთი ჯგუფი. სარდლობა ათავებს ახალ სამხედრო გეგმების გამომუშავებას. უკანასკნელ ხანებში კაპელევცელებმა საიდანღაც მიიღეს ფულები. სარდლობა არწმუნებს ჯარის კაცებს იმაში, რომ საჭირო გამაგრება რამენაირად ნოემბრამდე, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა. მაგრამ ჯარის კაცები შეძლებისადაგვარად ბრუნდებიან სამშობლოში.

ხარბინში დაბრუნდა ევროპიდან გენერალი ლოხვიცკი, რომელსაც ევროპაში მყოფ რუსთა მონარქიულ ორგანიზაციებისაგან ჩამოიტანა ახალი დირექტივები (კავროსტა).

ხელფასი.

მოსკოვი. 2 სექტემბერი (რადიო). ცხოვრების გაძვირების გამო გერმანიის პროფკავშირებმა და სამოქალაქო უწყებებში მოსამსახურეთა ფედერაციამ დაიწყეს კომპანია ხელფასის მომატებისათვის.

ბრძოლა სპეკულიაციასთან.

მოსკოვი. 2 სექტემბერი. დიუსელდორფში კომპარტიის ინიციატივით არჩეულია კომისია რეაქციასთან და სპეკულიაციასთან საბრძოლველად, კომისიაში შევიდნენ სამი კომუნისტი, 8 სოციალ-დემოკრატი (მეუმრ) და 3 დამოუკიდებელი სოც. დემ. (კავროსტა).

მწარმოებელნი და მუშები.

მოსკოვი. 2 სექტემბერი (რადიო). ინგლისის სამრეწველო ლიგამ და გავლენიანი ბურჟუაზიულ ორგანიზაციებმა გამოუშვეს მანიფესტი მუშებისადმი შექმნან „კეთილი დამოკიდებულება“ მწარმოებელთა და მუშათა შორის.

მანიფესტში აშკარად არის ნათქვამი იმ სხვერპლზე და დანაკლისზე, რომელიც მწარმოებელთ მოუვიდათ ომის დროს. მანიფესტი ხელმოწერილია სხვა ӡ სხვა ცნობილ პოლიტიკური, სამრეწველო და მუშათა მოღვაწეების მიერ, და სხვათა შორის ლოიდ ჯორჯის მიერაც. (კავროსტა).

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე

მოსკოვი. 3 სექტემბერი. ოსმალეთის ჯარების შეტევა თანდათან ძლიერდება. საბერძნეთის ჯარები, რომელნიც დგანან მარმარილოს ზღვის სანაპიროებზე, შესაძლოა მოწყვეტილ იქნან ზურგიდან.

— სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად ოსმალეთის ჯარმა გაარღვია ბერძნების ფრონტი სამი მიმართულებით. საბერძნეთის ჯარების უკან დახევამ ათინაში დიდი აურზაური გამოიწვია.

— დასტურდება ცნობები, ანატოლიაში ბერძნების დამარცხების შესახებ.

იტალია და ავსტრია

მოსკოვი. 3 სექტემბერი. იტალიის და ავსტრიის მთავრობის შორის მოლაპარაკება დამთავრდა. იტალია აძლევს ავსტრიას 70 მილ. ლირ. კრედიტს.

ირლანდიაში

მოსკოვი. 3 სექტემბერი. კორკის მიდამოებში სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა. ტელეგრაფის და ტელეფონის კავშირი ირლანდიაში შეწყვეტილია.

აღმოსავლეთი.

ოსმალეთ საბერძნეთის ფრონტზე

ნაუენი 1 სექ (რადიო). ოსმალთა მთავარ შტაბის ცნობით მათ ცხენოსანმა ნაწილმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიკავა ესკი-შეხირი. შეტევა მთელ ფრონტზე გრძელდება.

ბორდო. 1 სექტემბერი. ანგორის ცნობით, ბერძნებმა სცადეს ეხსნათ მასანდრი, მაგრამ უკუგდებული იქნენ. ყველა სექტორებზე წარმოებს ინტენსიური საარტილერიო ბრძოლა.

რომი. 1 სექტემბერი (რადიო). ოსმალეთის წყაროების ცნობით, ოსმალებმა იგდეს რა ხელთ აფიონ-კარაგისარი, დაიკავეს სმირნა—ანგორის რკინის გზის ლიანდაგი.

კრაუდენი. 1 სექტემბერი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით ჯარების შეტევა გრძელდება და დასახული აქვს მიზნად საბერძნეთის ჯარები მოსწყვიტოს მთავარ ხაზს.

მესოპოტამია.

ნაუენი. 1 სექტემბერი (რადიო). „დეილი ნიუსის“ ცნობით ინგლისის უმაღლესი კომისარი ბაღდადში პერსს კოკს მდგომარეობის გაუარესების გამო ღებულობს სასტიკ ზომებს. მან დაატუსაღა და გადაასახლა რამდენიმე ყოფილი მინისტრი, 6 ნაციონალისტების ლიდერები და დაკეტა რამოდენიმე გაზეთი.

სხვა და სხვა ამბები.

ანტისემიტური კამპანია.

რომი. 3 სექტემბერი. ლონდონის ყოველ-კვირეულ გაზ. „პრეშის მაგაზინში“ დაიწყო ინტენსიური ანტისემიტური კამპანია. რედაქციამ თითქოს აღმოაჩინა რაღაც ძველებური დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ მთელი ქვეყნის უბედურება ებრაელებისაგან წარმოსდგება. შემდეგ მიდის პაგრომული იდეოლოგია. მეორე წერილში განხილულია რატენაუს მოღვაწეობა, რომელსაც ის აწარმოებდა, ჟურნალის აზრით, სიონისტების ჩვენებით. თანამედროვე ფინანსიური და ეკონომიური კრიზისები, ავტორის აზრით, არის იმავე ებრაელების საქმე.

საერთაშორისო სალაყბო

რომი. 3 სექტემბ. საერთაშორისო საპარლამენტო კონგრესზე ვენაში ერთხმად იქნა გამოტანილი დადგენილება განიარაღების აუცილებლობის შესახებ.

მდ. რონას ადიდება

ბორდო. 3 სექტ. ძალიან თბილმა ქარებმა გამოიწვია ალპებში თოვლის დნობა. რონა გადმოვიდა ნაპირებიდან და დაფარა რკინის გზის ხაზი. მატარებლების მიმოსვლა პარიზ-მილანს შორის შეწყვეტილია.

უმავთულო ტელეფონი.

ნაუენი. 3 სექტემბ. 1 სექტემბერს გერმანიაში დაიწყო მოქმედება უმავთულო ტელეფონმა.

ბალტიის ზღვის სანაპირო სახელმწიფოები.

ბორდო. 3 სექტ. ფინეთის, ლატვიის, ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრების და პოლონეთის რწმუნებულის კონფერენცია გაიხსნა რეველში ჩრდილოეთის მცირე ანტანტის პოლიტიკის გამოსარკვევად ერთა ლიგის მომავალ სხდომაზე.

კათოლიკების კონგრესი.

ბორდო. 3 სექტემბ. კათოლიკების კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე მონაკოში კარდინალმა ფაულხაბერმა წარმოსთქვა სიტყვა ქრისტიანობის სამშვიდობო მოღვაწეობის შესახებ და გამოსთქვა აღშფოთება რეინლანდის დაკავების გამო წარმართების ჯარების მიერ.

კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდება

მოსკოვი. 3 სექტ. კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა მოწოდებით გერმანიის, საფრანგეთის და საერთაშორისო პროლეტარიატს, რომელშიაც მხურვალე სალამს უგზავნის გერმანიის და საფრანგეთის კომპარტიების შეხვედრას კელნში გამართულ კონფერენციაზე, და აგრეთვე ესალმება იქ მიღებულ გადაწყვეტილებას იბრძოლონ ვერსალის ხელშეკრულების, გერმანიის მუშათა კლასის ხარჯზე გატარების წინაალმდეგ. კომინტერნი აფრთხილებს გერმანიის და საფრანგეთის მუშებს არ დაამყარონ იმედები ბურჟუაზიულ მთავრობების შეთანხმების მიღწევის უნაყოფო ცდაზე, რაც შეუძლებელია მათი ინტერესების წინაალმდეგობის გამო. მოწოდება აფრთხილებს აგრეთვე არ დაამყარონ იმედები 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების ხელმძღვანელთა დიპლომატიაზე, რომ ეს უკანასკნელნი შესძლებენ შეაკავონ ბურჟუაზია მისი ძალდატანების პოლიტიკის განხორციელებისაგან: საჭიროა მოქმედებით იქნეს მიტანილი იერიშები ბურჟუაზიულ მთავრობების წინაალმდეგ. ვინაიდან საერთაშორისო მდგომარეობა არა ნაკლებ სერიოზულია, ვინემ მსოფლიო ომამდე, მასები მუდამ მზად უნდა იყვნენ ქუჩაში გამოსასვლელად. სამი ინტერნაციონალის წინამძღოლთა შეთანხმების ცდის უნაყოფობამ უნდა გააერთიანოს მასები დაბალ ფენებში. კომინტერნი მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ მათი მთავრობის წინააღდეგ და საფრანგეთის იმპერიალიზმის სამხედრო ზეგავლენის აცილების გზით, წინადადებას აძლევს მისცენ გასაქანი გერმანიის პროლეტარიატის ძალებს. გერმანიის მუშებს მოუწოდებს იბრძოლონ თავისი ბურჟუაზიული მთავრობის წინაალმდეგ და მოითხოვონ მუშათა მთავრობის შედგენა, რომელიც საფრანგეთის მასებს გაუქარწყლებს შიშს გერმანიის იმპერიალიზმის აღდგენის წინაშე. მიმართვა თავდება ყველა ქვეყნის კომუნისტებისადმი მოწოდებით, გააცხოველონ აგიტაცია ერთიანი პროლეტარული ფრონტის აღსადგენად და იბრძოლონ იმპერიალიზმის ყოველგვარი მახინაციების წინაალმდეგ.

ბრძოლა სიმშილობასთან

მუშებო, გლეხებო, წითელ არმიელებო და მოქალაქენო!

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა, სტიქიურ უბედურება და საშინელ გვალვასთან ერთად, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცვა, წარმოშვეს ენით აუწერელი უბედურება-სიმშილი. ეს უბედურება განსაკუთრებით თავს დაატყდა ვოლგის მხარეს, უკრაინას და ყირიმს, სადაც მან მსხვერპლად შეიწირა ასეულ-ათასობით გლეხთა სიცოცხლე და წარმოშვა ათასგვარი ავათმყოფობა და ეპიდემია. სიმშილის გამო მცხოვრებნი სტოვებენ თავის კარმიდამოს, გარბიან ქალაქში, ავსებენ მათ ლტოლვილებით, ლუკმა პურისათვის სჩადიან ათას-გვარ ბოროტ-მოქმედებას, სჭამენ გვამებს და ხეების ქერქსაც კი. ასი ათასობით იღუპებიან თქვენი ძმების—რუსეთის გლეხ კაცთა ბავშვები, ისინი დედების მკლავებზე სულს ლაფავენ სიმშილით და სნეულებით დაუძლურებულნი.

მუშურ გლეხური ხელისუფლება ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ დამშეულთა ტანჯვა შეამსუბუქოს, დაეხმაროს მათ მეურნეობის აღდგენაში და ღებულობს ყოველგვარ ზომებს მომავალი მოსავლის უზრუნველსაყოფათ მაგრამ გამეფებულ სიმშილის საბოლოოდ დასამარცხებლათ საჭიროა ძმური, შეთანხმებული მუშაობა ძმურ საბჭოთა რესპუბლიკების გლეხებისა და მუშებისა. საბჭოთა ხელისუფლებამ ცალკე დამშეულ რაიონებზე მზრუნველობა მიანდო უფრო კარგ პირობებში მყოფ ოლქებს.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას მინდობილი აქვს ყირიმის დამშეულთათვის ზრუნვა დახმარება.

მუშებო და გლეხებო! ყირიმი დაღუპვის გზაზეა.—720 ათას ყირიმის მცხოვრებთაგან სიმშილობს 511 ათასი კაცზედ მეტი, რომელთა რიცხვიდან ერთი მეოთხედი 1|4 მილიონამდე. ბავშვებია პირველ აპრილამდის ყირიმში სიმშილით დაიხოცა 70 ათას კაცზე მეტი. თუ ეხლავე არ დავეხმარეთ, ყირიმის გლეხები ვერ შესძლებენ მოაგროვონ თავისი ისედაც ძლიერ მცირე მოსავალი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ არ შეიძლება უხარ-კამეჩოთ და უცხენოთ მოხვნა მოთესვა. მხოლოდ ეს უკანასკნელი ყირიმში საქვების უქონლობის გამო სრულიად გაწყდნენ, თქვენ იცით, რომ არ შეიძლება ყანების დათესვა თუ არ არის თესლეულობა, თესლეულობა კი ყირიმში შეჭმული აქვთ დამშეულთ. არ შეიძლება უსაქმელოთ, მშიერ კუჭით მუშაობა. სურსათ-სანოვაგე კი ყირიმში არ ყოფნის მის მცხოვრებთა ნახევარს.

მუშებო და გლეხებო! თქვენ უკვე აღმოუჩინეთ ყირიმის საბჭოთა რესპუბლიკის დამშეულებს დახმარება. თქვენი ძალ-ღონით, თქვენი შემოწირულებით რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიერ შეკრებილია და ყირიმში გაგზავნილია 260 ათას ფუთზედ მეტი პური, გაგზავნილია ფული და სხვა და სხვა ნივთეულობა.

ეხლა საჭიროა მთელი ძალ-ღონის მოკრება. რათა საბოლაოდ დავამარცხოთ სიმშილი, ამ წელს თქვენ ყანებში მოსავალს კაი პირი უჩანს. თქვენი საშური საქმე და რევოლიუციონური ვალიც არის გაუნაწილოთ თქვენი მარცვლეულობის ნაწილი თქვენს ძმებს დამშეულ გლეხებს.

დაეხმარეთ ყირიმს მოსავლისათვის ბრძოლაში ამ წელს, მიეცით თქვენი შეწირულებანი თესლეულობა და პური, დამშეულთა დამხმარე ადგილობრივ კომიტეტებს, ისინი დაუყონებლივ გაგზავნიან მას ყირიმის ნავთსადგურებში. მიიყვანეთ ბოლომდის თქვენ მიერ დაწყებული დამშეულთა დახმარების საქმე. გახსოვდეთ, რომ სიმშილი შეიძლება თქვენ მხარესაც დაატყდეს თავს. საბჭოთა ფედერაციის ყველა მოქალაქეთა ვალია დახმარების ხელი გაუწოდოს შავ დღეში მყოფ თავის ძმებს.

თავის მოსავლის ნაწილის გაღებით ყირიმის მშიერ მოძმეთა დახმარებისათვის პირადი შრომის გაწევით შეგიძლიათ თქვენ თავისუფლად ატაროთ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქის სახელი.

ამიერ-კავკასიის მოქალაქეთა უკანასკნელი ძალის მოკრეფა და შიმშილობა ყირიმში იქნება დაძლეული.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე თბილისში

11 საათზე ქ. ლიბკნეხტის ძეგლთან იწყო თავის მოყრა სხვა და სხვა ორგანიზაციებმა.

პირველად მოვიდა მე-4 რაიონი, შემდეგ მას მოჰყვა შევარდენი, სკაუტები, ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიის წარმომადგენლები და სხვა... მე 3 ე რაიონის მოსვლისას ამხ. დევდარიანმა, ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას დავალებით მიტინგი ახალგაზრდობის დღის პატივსაცემათ გახსნილად გამოაცხადა და მიმართა მისალმებით დამსწრეებს.

ახალგაზრდობის კომკავშირის თბილისის კომიტეტის სახელით გამოვიდა მისალმებით ამხ. ამასი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ჟამად მშრომელი ახალგაზრდობის მთელი ენერგია მიმართულია განადგურებულ მეურნეობის აღდგენისაკენ, ხოლო თუ საჭირო იქნება შეიარაღებული გამოსვლა მაშინ ქ. თბილისის მშრომელი ახალგაზრდობა საქართველოს და რუსეთის ახალგაზრდობასთან ერთად შესძლებს დაიცვას წითელი დროშები დასასრულ თავის სიტყვაში ამხ. ამასმა გადასცა მიტინგს მისალმება ახალგაზრდობის კომკავშირის ძველი გვარდიისაგან, ესე იგი იმ 12 კაცისგან, რომლებმაც რამდენიმე წლების უკან საძირკველი ჩაუყარეს ახალგაზრდობის კომკავშირს ნახალოვკასა და ავლაბარში. შემდეგ მიტინგი დასხურა და მოგროვებულები გაემართენ დიდუბეში.

დიდუბეში.

ჯერ კიდევ ქ. ლიბკნეხტის ძეგლთან მყოფ ორგანიზაციების მისვლამდე დიდუბის მოედანზე შეიკრიბენ: 1 და მე 2-ე რაიონი, კურსანტები და სხვა ორგანიზაციები და პასუხისმგებელი ამხანაგები.

მიტინგი.

ამხ. დევდარიანის სიტყვა. გახსნა რა მიტინგი, ამხ. დევდარიანი ახალგაზრდობის კომკავშირის თბილისის კომიტეტისა და ცეკას სახელით ულოცავს მშრომელ ახალგაზრდობას მათი დღესასწაულის 8 წლის თავს და ასურათებს მშრომელი ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიას, რომელსაც მიჰყავს ის გაერთიანებამდე—მსოფლის მასშტაბით.

ამხ შეინგარტის სიტყვა.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასკომის წევრი ამხ. შეინგარტი ამბობს სიტყვას ნემეცურ ენაზე, რომელშიდაც ესალმება რა კომმუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასკომის სახელით, ამბობს, რომ უკვე გავიდა რვა წელი მას შემდეგ, რაც გერმანიის, რუსეთის და იტალიის მშრომელი ახალგაზრდობა გამოეხმაურა თავის ხელმძღვანელ კარლ ლიბკნეხტის მოწოდებას, რომელმაც როზა ლიუქსემბურგთან და ლენინთან ერთად გაუკაფა მას გზა რევოლიუციონური ბრძოლისა.

ამ ჟამად შეიდემანის, ნოსკეს და სერატის ღალატის გამო იღვრება სისხლი ქუჩებში და მშრომელი ახალგაზრდობა იმედით შეჰყურებს რუსეთის და საქართველოს რევოლიუციონურ ახალგაზრდობას. მან იცის რომ აქტიური ახალგაზრდობა ხელს გაუწოდებს მას. დასასრულს ორატორი ესალმება წითელ არმიას და გამოსთქვამს იმედს რომ, მომავალი წლისთვის ეს დღესასწაული ჩატარებული იქნება მთელს მსოფლიოს ახალგაზრდობასთან ერთად.

დაღუპულთა სახსოვრათ.

ამხ. დევდარიანი ლინადადებას იძლევა მოიგონოს ამ რვა წლის ბრძოლაში დაღუპულნი და პატივი სცენ მათ ხსოვნას ქუდების მოხდით. ყველა ქუდს იხდის, ხოლო ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

ამხ. ბუდუ მდივნის სიტყვა.

საქართველოს კომპარტიის ცეკას სახელით ამხ. ბ. მდივანი ულოცავს მათ საერთაშორისო პროლეტარული ახალგაზრდობის 8 წლის სოლიდარობას და აღნიშნავს, რომ ბურჟუაზია რომელიც დღემდე გვიკარნახებდა თავის პირობებს, ეხლა ისეთ ჩიხში მოიწყვდა, რომლიდანაც ის ვერ გამოვა ვერავითარი თილისმით.

და ამ ჟამად ბურჟუაზია იმყოფება იმ საშიშროების წინაშე, რომ ის აღიგვება პირისაგან მიწისა ამხედრებულ პროლეტარიატის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს რუსეთის კომუნისტური პარტია.

ბურჟუაზიას შერჩა ერთი არგუმენტი ხიშტი და ხმალი, მაგრამ საკითხია ვინ დაიჭერს მას უკეთესად,—დახავსებული ბურჟუაზია—თუ რევოლიუციონური მტკიცე ახალგაზრდობა.

ამხ. ფეიგინის სიტყვა.

მიესალმა რა რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას სახელით ამხ. ფეიგინი აღნიშნავს, რომ 8 წლის განმავლობაში მშრომელმა ახალგაზრდობამ არა ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ენერგია იზრდება, მის მიერ დაღვრილი სისხლი არა ერთხელ

ურსათო გადასახადის კამპანია

ს ახალი დამატებითი ცნო- მელიც მიიღო სახალხო სა- კომისარიატმა:

თ-ოხეთი: გადასახადის შეგ- წარმატებით მიმდინარეობს. 31—სთვის სულ შეგროვი- მბალი—6.131 ფუთი, ქერი— და კართოფილი—2 ფ.

ქალაქის მაზრაში: ზოგან უკვე ანეს შარშანდელ გადასახადის სულ შემოსულია რამოდენი- : მატყლი—2 ფ, ერბო—8 ველი—40 ფ, ხორცი—2 ფ. წისქვილიდან (ქერი) 89 ფ.

ხენაკის მაზრაში: სათემო მთა ყრილობამ უკვე გაანა- ემებზე მაზრაზე შეწერილი დი. ამ ჟამად სწარმოებს გა- ის განაწილება სოფლებზე და ლთა შორის სამაზრო სა- კომისარი პირადათ დაია- მებში და მუშაობას ხელმძ- ობს, აგრეთვე აარსებს საჭი- ილებში დამამზადებელ კან- . არის იმედი, რომ წელს სა- გადასახადის კამპანია სენა- აში კარგად ჩაივლის.

ხის მაზრაში: (სამაზრო სა- კომისარ ამხ. ქაცარავასთან) აგვისტოს 10-ს მოწვეულ თემთა აღმასკომთა თავმჯდო- ს და სარაიონო ინსტრუქტო- რილობა. ამ დროსთვის სამა- გადასახადო სამეულის მიერ მოდ გამოცემული იყო ბიუ- , რომელშიაც მოთავსებული თელი ოფიციალური მასალა გადასახადის შესახებ. ყრილო- თაისის მაზრაზე შეწერილი გა- დი 45.000 ხორბალი (ანუ თი სიმინდი) თემებზე გაანაწი- ჟამად თემებში სწარმოებს გა- დის განაწილება სოფლებზე. მეურნეობებზე ჯერ არ არის ლებული, ვინაიდან წრევანდელი მოსავალი მხოლოდ ახლა ირკვევა. მოსავლის (სიმინდის) შეგროვება დაიწყება სექტემბერში, ხოლო სასურსათო გადასახადი აკრებილი იქნება ნოემბერში. ეს ის დროა, როდესაც სიმინდი უკვე მოასწრებს გამოშრობას და გახმობას. როგორც ნიშნებია, მოსავალი წელს საშუალოზე უკეთესია, რაიც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წრევანდელი გადასახადი სრულიად იქნება შეკრებილი. წელს ვარაუდით დათესილია 56—70 ათასი დესეტინა. თვითეული დესეტინა საშუალოდ მისცემს გლეხს 90—100 ფუთ სიმინდს. ახალ მოსავლამდე მოსახლეობას სასურსათო დახმარება სჭირდება. შესაფერი შუამდგომლობა აღძრულია სახალხო სასურსათო კომისარიატის დასტურის თანახმად, წელს ნატურ-გადასახადი ქუთაისის იმ მოქალაქეებსაც გადახდებათ, რომელნიც ხვნა-თესვას არ მისდევენ.

ქუთაისის მაზრაში წელს შეიძლება დამზადება სიმინდის და ლობიოსი.

ახალქალაქის მაზრაში. (სასურსათო კომისარის მოხსენებიდან). სასურსათო გადასახადისა და შარშანდელ ნარჩენის შეგროვება სექტემბრის 1-ს დაიწყება და წინასწარ ვარაუდით ოქტომბრის 1-სთვის დასრულდება. სამაზრო სასურსათო კომისარის აზრით შეგროვილი მარცვლეული (ზედმეტი რაც იქნება) ოქტომბერშივე უნდა გაიგზავნოს ტფილისში, რადგანაც ახალქალაქის მაზრაში ოქტომბერში ხშირი წვიმები იცის ხოლმე და მარცვალი გაფუჭდება შესაფერ ბეღლების უქონლობის გამო. მაზრას უწევს გადასახდელად 36.000 ფუთი ხორბალი, ამას გარდა 2.500 ფუთი შარშანდელ გადასახადის ნარჩენი. როგორც წრევანდელი გადასახადი, ისე შარშანდელი ნარჩენი შეგროვილ იქნება უმთავრესად ხორბლეულით და ქერით.

და მებრძოლ ახალ ჯგუფებს, ნ ვერ შესძლებს მის ქედის და ამით იქნება მე-2 და 2 ინტერნაციონალის ცდა, რათა ონ მშრომელი ახალგაზრდობა რიგებში.

ფლორა ვარდანიანის სიტყვა.

ფლ. ვარდანიანი ესალმება ცე- ელთა განყოფილების სახელით ობს, რომ დღეს თავისი სო- რობით მშრომელი ახალგაზრ- ერთხელ კიდევ ხაზგასმით ებს, რომ ის მზად არის იზმის და ბურჟუაზიის წი- შეტევაზე გადავიდეს, განსაკუთრებით აზარებს პრო- —ედდის გულს, რომელიც მუნებულია, რომ რევოლიუციის დამლავებული იქნება გამარ- მდე.

მდეგ მიესალმენ: საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს წითელ. არმიის სახელით ამხ. კვირკველია, წითელ კურსანტებიდან ამხ. ზილბერმანი, რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სახელით ამხ. ვირაპი, რომელთა სიტყვები შემდეგ ნომერში იქნება მოთავსებული მიტინგი დასასრულს გამოაქვეყნეს საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას დეკლარაცია მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი, რომელიც იქნა დამტკიცებული ყველა დამსწრეების მიერ.

ამის შემდეგ ამხ. დევდარიანმა მიტინგი დახურულად გამოაცხადა და აცნობა დამსწრეებს ოლიმპიის კომიტეტისაგან მიპატიჟება, რათა მიტინგის ყველა მონაწილეებმა დაესწრონ ოლიმპიადას.

ქრონიკა

✦ **საანგარიშო წიგნაკები.** ამიერ- სიის შრომის სახ. კომისარიატის მის დაცვის ცენტრალურმა გან- ლებამ წინადადება მისცა შრო- დაცვის ყველა განყოფილებებს მეიჯანში, სომხეთში და საქარ- ლოში და ამიერ-კავკასიის რკი- გზების უფროს ინსპექტორს მოა- ონ სათანადო განკარგულება, რა- ყველა დაწესებულებებმა და რო- ც სახელმწიფო ისე კერძო წარ- ებებმა შეიძინონ საანგარიშო წიგ- ები მუშა მოსამსახურეთათვის. საანგარიშო წიგნაკები იბეჭდება მის სახ. კომისარიატის შრომის ვის განყოფილებათა მიერ სრუ- ად რუსეთის პროფკავშირთა ცენ- ლურ საბჭოს ამიერ კავკასიის როს მიერ დამტკიცებულ ნიმუშის ვარად.

✦ **ვერის დაღმართის გაუმჯობე-** ა. თბილისის კომუნალურ მეურ- ბის სანიტარულ-საამშენებლო- ნიკური განყოფილება შეუდგა ვე- დალმართის გაუმჯობესებას, რის- საც ხის ლობეს, რომელიც გავლებულია დალმართის მარცხენა მხარეზე დაანგრევენ და მის ადგილზე მეორე მხრიდან გადაიტანებენ ქვის სვეტებს.

✦ **ქალაქის ტრამვაი.** ტრამვაის ცენტრალურ ელექტრონის სადგურზე შეკეთებულია აკუმულიატორის ბატარეია 1200 ამპერ, რომელსაც შეუძლია გაიყვანოს მომავალში 30 ვაგონი.

— კირკის ქუჩიდან პიროგოვის ქუჩამდე ხელახლა შეკეთებულია მეორე ხაზი, გუშინ განახლდა ამ ხაზზე ვაგონების მოძრაობა ორივე მიმართულებით.

✦ **გაზ. „ბახტრიონი“.** გამოვიდა გაზ. „ბახტრიონი“-ს მორიგი ნომერი (9) შემდეგი შინაარსით: მეთაური— „ქართული დრამის სეზონი“. წერილები არტურ ლეისტის—„ქართველები და ზღვა“. ვასილ ბარნოვის—„ბესიკი“. დავით პავლიაშვილის—ვაჟაფშაველა და სხ. ლექსები: რაჟდენ გვეტაძის—„ო.ნ.ნ“, გიორგი ლეონიძის—„ეკლოგა“ და გიონ საგანელის დაუბეჭდავი ლექსი „შენს იქით“.

ს. ც. ა. კ. თავმჯდომარის ამხ. ფილიპე მახა- ძის მოგზაურობა ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში

მიერ-კავკასიაში და კერძოთ სა- რთველოში რევოლიუციონურ მო- აობას ხანგრძლივი და შინაარსია- ისტორია აქვს. ამ მოძრაობის თაურთა შორის ამიერ-კავკა- ში განსაკუთრებული და პირველი გილი უკავია რუსეთის რევოლიუ- ის ძველ ვეტერანს ამხ. ფ. მახარა- .

ოწაფის სკამიდან ის უშუალოდ ჭრა ფაბრიკა-ქარხნებში, მუშათა დაფებში და მთელი ენერგია, რი კრიტიკული კალამი და მარ- სტული მომზადება კომუნიზმის ის ქადაგს და მასებში მის გავრ- ლებას შეალია, მან ციხის ცივ სა- ში თუ შავი რეაქციის ატმოსფე- ი შეუდრეკლათ დაჰყო ოცდა ათ ზე მეტი.

დღესაც ეს გაჭაღარავებული ბელადი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე დაუღალავ შემოქმედებით მუშაობას ეწევა და ჭეშმარიტად, ეს მაგალითი სახელმძღვანელოთ უნდა შეიქნეს ჩვენი ამხანაგებისათვის.

ამხ. მახარაძე ერთი თვით დასასვენებლათ ჩამოვიდა, აბასთუმანში, მაგრამ უნდა სიმართლე აღვნიშნოთ და ვთქვათ, რომ ეს დასვენება კი არა, მუშაობის სხვა არეში გადატანას მოგვაგონებს. ჩამოსვლისთანავე ამხ. მახარაძემ დაათვალიერა აბასთუმანის მიდამოები და დაახლოებით გაეცნო აბასთუმანში აგარაკ „არაზინდოს“ მდგომარეობას. „არაზინდო“ ეს უზარმაზარი შენობაა ოთხ სართულიანი, მისი აშენება ომამდის დაუწყიათ, მაგრამ ომს და რევოლიუციის მის დამთავრებისთვის ხელი შეუშლია. მენშევიკების დროს, რომელთაც მუდმივი ომები ახასიათებს, თავისი დაღი დაუჩენია ამ თვალსაჩინო ქონებისთვის. იატაკი, სახურავი და ფანჯარები გატაცებულია და რამოდენიმე ასეული ოთახიდან შემდგარი შენობა განადგურების გზაზეა.

ამხ. მახარაძემ დაუყონებლივ გამოიწვია ქ. თბილისიდან „არაზინდოს“ ამშენებელი ძველი ინჟინერი და მოიწვია ადგილობრივ ის პირები, რომლებიც „არაზინდოს“ აშენების საქმესთან ახლოს იდგნენ.

ერთი სიტყვით, ამხ. მახარაძემ მიიღო წინასწარი ზომები, რათა ის რაც გადარჩენილა არ დაიღუპოს და აღუთქვა ყველას შენობის დამთავრება. ამ შენობას, რომელიც აბასთუმანის საუკეთესო და მაღლობ ადგილზე არის, დიდი მნიშვნელობა აქვს ავათმყოფებისთვის, ის ხუთასამდის ადამიანს შეიფარებს და შესძლებს მთელი საქართველოს მუშების დაკმაყოფილებას. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ და პროფესიონალური კავშირების საბჭომ საჩქარო ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ქონებას და საკუთარი ინიციატივით, და კვრითი რიგით ის დაამთავრონ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამხ. ფ. მახარაძე თავის ხელში აიღებს ამის ინიციატივას.

შემდეგ ამხ. მახარაძემ სხვა შენობები და ტყეები დაათვალიერა და ყოველგან პრაქტიკულ საქმიანობას დასაწყისი მისცა, რასაც დიდი ხანია საჭიროებდა აბასტუმანის აგარაკი.

როდესაც ადგილობრივ დაამთავრა ამხ. ფილიპემ მუშაობა, ის გაემგზავრა ახალციხეში 8 სექტემბერს დღის სამ საათზე ამხ. მახარაძე ახალციხეში იყო. მისი ახალციხეში წასვლა გაეგო მილიციის უფროსს ამხ. ხმალაძეს და აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მხეიძეს. ეს ამხანაგები აღმასკომის შემადგენლობით და მილიციონერებით ქალაქის შესავალში შეხვდენ ამხ. მახარაძეს აღტაცებით. ახალციხეში დათვალიერებული იქნა იმ დღესვე სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებები და საჭირო ღარიგება და რჩევა მისცა ამხ. ფილიპემ პასუხისმგებელ მუშაკებს. მან გადასჭრა მთელი რიგი კითხვებისა, რომლებიც იწვევდნენ გაუგებრობას ადგილობრივ და უთანხმოებას.

სამაზრო კომიტეტმა პლ. შუშანიას წინადადებით გადაწყვიტა ყოფილ გვარდიის ქუჩას დაერქვას მახარაძის ქუჩა, რაც დიდი აღტაცებით ერთხმათ მიიღო სამაზრო აღმასკომმა.

მეორე დღეს დილა ადრიან ამხ. მახარაძე გაემგზავრა მაზრის დასათვალიერებლათ და პირველათ ინახულა სოფელი ღრელი. გლეხებს წინასწარ გაეგოთ მთავრობის წარმომადგენლის მოგზაურობა და თითქმის მთელი სოფელი გზაში შეხვდა ამხ. მახარაძეს პურმარილით. ამხ. ფილიპემ სიტყვით მიმართა გლეხებს, აუხსნა საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა და მისი დამოკიდებულება მშრომელ გლეხკაცობასთან. დიდი ყურადღებით და აღტაცებით მოისმინა გლეხებმა მთავრობის წარმომადგენლის სიტყვა. დაბოლოს მათ სხვა და სხვა განცხადებით მიმართეს ამხ. მახარაძეს. განცხადება უმთავრესათ ეხებოდა სასურსათო გადასახადს და მიწის საკითხს. საერთოდ ახალციხის მაზრა მეტად დარბეულია თათრების თავდასხმით 1918 19 წ. და თანაც დიდი მიწის ნაკლებობა არის, სოფელი ღრელი, რომელიც 60 კომლიდგან შესდგება, ამ ოთხი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ დარბეულა თათრების მიერ და დიდ სიღარიბეს განიცდის. ამხ. მახარაძემ გლეხებს დახმარება აღუთქვა.

შემდეგ ამხ. ფილიპემ დაათვალიერა საფაროს მონასტერი და ციხე. ეს მონასტერი თამარ დედოფლის დროის აშენებული ყოფილა, ქართული მხატვრობა უძველეს დროის თითქმის დღემდის შენახულა. მონასტერს აქვს ბევრი საცხოვრებელი ბინა, ცხოვრობს ერთი ბერი, საერთოდ ქონება უპატრონოთ არის მიტოვებული.

შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ სოფელ ურაველში, აქ ცხოვრობენ ქართველი მუსულმანები, ამხ. მახარაძე გაეცნო დაწერილებით ადგილობრივ მდგომარეობას და დააკმაყოფილა ბევრი მთხოვნელები.

ურაველი ერთი უმაღლეს ადგილთაგანია, შესანიშნევი ნაძვის და ფიჭვის ტყეებით დაფარული მთებით. ძველათ იქ ყოფილა აგარაკი შესამჩნევი შენობებით. იქვე არის ურაველის შესანიშნავი მინერალური წყლები. 1918-19 წლებში შენობები და აბანო სავსებით გაუნადგურებია ოსმალებს.

ასე რომ ეს ბუნებით დაჯილდოვებული კუთხე დღეს სავსებით განადგურებული არის და მას თავის სააგარაკო მნიშვნელობა დაუკარგავს. ჩვენი ფიქრით საჭიროა აგარაკის აღდგენა და იმ სახელმწიფო ქონების დაცვა, რომელიც გადარჩენილა და დღეს დაღუპვის გზაზე არის.

(გაგრძელება იქნება).

გ. ნუცუბიძე

სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო

გასულ წელს, არა ერთხელ იყო გამოქვეყნებული ჩვენ პრესაში, თუ როგორი კონტრ რევოლიუციონურ გამოსვლებს ქონდა ადგილი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეი, ეს ტაძარი განათლებისა, უნივერსიტეტი ეს სადგური სიბრძნისა, გადაიქცა პოლიტიკანების და კონტრევოლიუციონერების ბუდეთ.

ანტიკომუნისტურმა პარტიებმა, მის შემდეგ რაც სრულიად დაკარგეს გავლენა მუშურ-გლეხურ მასებში, მის შემდეგ რაც გამოეცალათ საერთო კონტრ რევოლიუციონურ მუშაობის, თავისი სამოღვაწო ასპარეზი დასახეს სახ. უნივერსიტეტის. პარტია, რომელიც სრულიად განადგურდა, როგორც ფიზიკურათ ისე მორალურათ, ხსნას ეძიებდა მეშჩანურ ინტელიგენციაში. უნივერსიტეტი იყო მათთვის ის ადგილი, საიდანაც უნდა ეწარმოებიათ ბრძოლა, სადაც ლახვარი უნდა გაელესათ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთი თავიანთი განზრახვა ნაწილობრივათ შეასრულეს მათ და შარშან უკვე ვხედავდით ბავშურ გამოსვლებს. რა თქმა უნდა მუშები, რომლებშიც დიდი ხანია მათ გავლენა დაკარგეს, აღელვებული იყვნენ ამ მდგომარეობით და მზათ იყვნენ თუ ეს საჭირო იქნებოდა, ჩარეოდნენ საქმეებში.

ისმის კითხვა, რა იყო მიზეზი და რამ გამოიწვია ყოველივე ეს? პასუხი ერთია, ჩვენმა დაუდევრობამ. ჩვენ არ მივაქციეთ ყურადღება ერთის მხრივ ანტიკომუნისტური პარტიების აქტიურ მუშაობას და მეორე, არ გავაძლიერეთ მუშაობა სტუდენტთა უპარტიო მასაში, აქ ვერ შევქმენით ჩვენ კომუნისტური ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო ხელმძღვანელობა გაეწია მთელი მუშაობისათვის, იმ დროს როდესაც ეს შესაძლებელი იყო.

ჯერ რა თქმა უნდა არ გაქრობიათ გამარჯვების ილიუზიები მენშევიკ ფედერალისტებს და მოსალოდნელია წელსაც, მოხდეს მორიგი კონტრ-რევოლიუციონური „გამოსვლა“ მეშჩანურ ინტელიგენციისა წელსაც თავისი სამოღვაწო ასპარეზათ დასახული ექნებათ სახელმწიფო უნივერსიტეტი და განმეორება მოხდება წარსულის, ესე იგი ადგილი ექნება ბავშურ გამოსვლებს, თუ კომუნისტურმა პარტიამ არ მიიღო ამის წინააღმდეგ ზომები. ამისათვის საჭიროა მოხდეს შეკავშირება ყველა კომუნისტ სტუდენტების, რომლებიც იმყოფებიან ქ. თბილისში და მუშაობენ სხვადასხვა დაწესებულებებში. მეორე, ჩვენ ვიცით, რომ დღეს კომუნისტ-სტუდენტები იმყოფებიან პროვინციებში, ზოგი თემების აღმასკომის თავმჯდომარეთ, ზოგი განათლების განყოფილების გამგეებათ და ზოგი პარტიის მდივნებათ. ერთი სიტყვით ჩაბმული ადგილობრივ მუშაობაში. დაახლოვებით ასეთები იქნებიან 100 მდე. ეხლა აუცილებელი საჭიროა, მოხდეს მათი მობილიზაცია და გადმოგზავნილი იქნას უნივერსიტეტში *). ამით ჩვენ გავაკეთებთ ორ დიდ საქმეს. ერთი ის რომ შეკრებილი ამხანაგები, რომლებიც დაახლოვებით იქნება 200 მდე კაცი, ჩაებმება სტუდენტთა ორგანიზაციებში და ის უპარტიო სტუდენტობა, რომლებიც სდგანან საბჭოთა პლატფორმაზე და რომლებიც ჯერ ვერ გარკვეულან, გადმოვლენ ჩვენსკენ. ამით, გაძლიერდება ჩვენი გავლენა სტუდენტობაში, გაძლიერდება ჩვენი ორგანიზაცია უნივერსიტეტში და, შემდეგ თავის თავად მოხდება ლიკვიდაცია სტუდენტთა კონტრ რევოლიუციონურ გამოსვლების. მეორე, კომუნისტ-სტუდენტობა, რომლებიც იმყოფებიან პროვინციაში, და რომელზედაც ამყარებს მომავლის იმედებს მუშათა კლასი, რომლებიც მომავალში უნდა ჩაუდგნენ სათავეში საბჭოთა აღმშენებლობას, მიიღებენ უმაღლეს განათლებას. დღეს კი, არა თუ უმაღლესი განათლება, არამედ ზოგი ამხანაგები მოკლებული არიან ჟურნალ-გაზეთებს და ახალი კომუნისტური ლიტერატურასაც.

მაშ ასე, საჭიროა დაუყონებლივ მოხდეს მობილიზაცია კომუნისტ-სტუდენტების. იმედი გვაქვს მიაქცევს ყოველივე ამას ყურადღებას პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მიიღებს სასწრაფო ზომებს.

შ. ოდ.

ამხ. ვანო მაღრაძის ხსოვნას

1905 წ. 25 აგვისტოს ძველი სტილით ავაზაკების ტყვიით გულგანგმირული დაეცა იმ დროინდელ იმერეთის ერთი ძლიერ მუშაკთაგანი, ხარაგოულის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრი, ამხ. ვანო მაღრაძე.

ბუნებით, რწმენით და მოღვაწეობით რევოლიუციონერი, ვანო მოსწყვიტეს, 905 წლის რევოლიუციას იმ დროს, როდესაც მისი მჩქეფარე ტალღები თანდათან მაღლა იწევდნენ და თვითმპყრობელობის ტახტს საუკუნო დამხობით ემუქრებოდნენ... ვანო მოსწყვიტეს თავის საყვარელ საქმეს სწორეთ იმ დროს, როდესაც მუშაობა ყველაზე უფრო საინტერესო იყო, როდესაც ჯურღმულებიდან ცხოვრების ზედაპირზე პირველათ ამოდიოდენ ხალხის მებაირაღტრე, მისი ინტერესებისთვის თავდადებული მებრძოლნი.

ამხ. ვანო დაიღუპა. მისმა მოულოდნელმა ტრაგიკულმა დასასრულმა გული დასწყვიტა არა მარტო მის ახლო პარტიული მეგობრებს, არამედ მთელი ზემო იმერეთის ღარიბ გლეხობას, რომელიც ცხარე ცრემლით დასტიროდა თავის ძვირფას მებრძოლ მასწავლებელ ვანო მაღრაძეს. დაკრძალვის დღეს მის საფლავის გარეშემო სოფელ ლელვანში (შორაპნის მაზრა, სადგურ მარელისიდან 3 ვერსტის მანძილზე) მთელი მაზრიდან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ორკესტრი და გუნდი ახალ რევოლიუციონურ და სამგლოვიარე ჰ ნგებს აფრქვევდნენ დაბურული მთებით შემოზღუდულ სივრცეში; ორატორები, იგონებდნენ და ახასიათებდენ რა ვანოს ღვაწლს, ხალხს მოუწოდებდენ ფიცი დაედო უფრო ენერგიული ბრძოლისთვის უკეთესი მომავალისთვის. პროცესიამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხში და, მიუხედავათ იმისა, რომ მას შემდეგ 17 წელმა განვლო, ის დღე, ისევე, როგორც ვანოს ხსოვნა, დაუვიწყარი დარჩა. აქვე მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს: ვანო ასლანისძე მაღრაძე დაიბადა 1880 წელს ღარიბ გლეხის ოჯახში სოფ. ლელვანში (შორაპნის მაზრა).

16 წლის ვანო საოსტატო სემინარიის მოწაფეთ ხდება, სადაც მისი რევოლიუციონური სული მალე იჩენს თავს და ის ბრძოლას უცხადებს როგორც საშკოლო ისე საზოგადოთ ბიუროკრატიულ რეჟიმს.

„ვანოს არ აკმაყოფილებდა სკოლის ცხოვრება, ის როგორც გალიაში დამწყვდეული ჩიტი, ეხეთქება სემინარიის კედლებს, მაგრამ გასავალს ვერსად პოულობს. ის ამჩნევდა რომ მას სულიერი საზრდო ეჭირვებოდა და ეს სურვილი არ აძლევდა მოსვენებას ვანოს, იგი მუდამ „ელრინებული“, მუდამ უკმაყოფილო იყო და არ იცოდა როგორ ჩაექრო ეს თავის უკმაყოფილება, სწერს 1905 წლის ჟურნალ „მოგზაურში“ (№ 34) მისი ახლო მეგობარი.

სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ 1901 წელს ის გაეშურა სოფლად, სადაც შეიქნა ხალხის ნამდვილი მასწავლებელი, როგორც სკოლაში ისე მის გარეთ. მოახლოვდა რევოლიუციონური 1905 წელი და ისიც მხნედ და ენერგიულად დღე და ღამე აწარმოებს რევოლიუციონურ აგიტაციას გლეხობაში. ცნობილია, რომ ზემოიმერეთის გლეხობას მცირე როლი არ უთამაშნია 1905 წლის მოძრაობაში. ამაში ვანოს დიდი ღვაწლი მიუძღვის, როგორც მის წინამძღოლს. სიკვდილით ტანჯვის წუთებშიც მას ხალხი ახსოვს, მომაკვდავი ის კბილებით ხევს სოფლელ ამხანაგების სიას, რომ პოლიციამ არ გაიგოს და საფრხეში არ ჩავარდენ.

აი თუ ვინ იყო ვანო მაღრაძე და **ხარაგოულის კომუნისტურმა ორგანიზაციამ დაადგინა, რომ ამ ობლათ მიტოვებულ დაღუპულ გმირის საფლავზე მივიდეს, 17 წლის თავზე, 10 სექტემბერს, მოიგონოს მისი რევოლიუციონური ღვაწლი და პატივი სცეს მის ხსოვნას.**

ი. ბუაჩიძე.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის ყოფ. სათათბირო დარბაზში, გაიმართება იაჩეიკების მდივნების თანდასწრებით, რაიკომის დელეგატთა კრება. იაჩეიკების ყველა დელეგატების და მდივნების დასწრება სავალდებულოა.

მე-4 რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: **ამახი.**

დ ღ ი უ რ ი

ტანჯვა... ოფლის ღვრა... კვნესა... ცრემლი... ოხვრა... [illegible]
გაზაფხულს, პირველს, შრომა მოჰყვა გაზაფხულისა!..
გავა ზაფხულის პირველი თვე და მოწოდება
ცეცხლით აღანთებს, ისევ ცეცხლით სულსა და გულსა!..
კვლავ აფეთქება!.. კვლავ ანთება!.. არიჟრაჟება!..
ახალი სიტყვა, ძველი საქმის ახალი შვილი!..
კვლავ გასალება!.. გარკინება!.. კვლავ გაკაჟება!
და ნაცადი გზით ისევ წინსვლა ძლევა-მოსილი!..
ახალი დილა!.. ახალი მზე!.. და დღეც ახალი!..
მაგრამ წარსულ დღეთ უამრავი გამოცდილება!..
ახალ ციხეში ძველი ნაციხ-ნაჩარდახალი!..
და აწყვეტილის ისევ ისე დამორჩილება!..
და რომ დადგება შემოდგომა დოვლათიანი
ლიბოს შეუცვლით მზის მოქცევას!.. ქვეყნის ტრიალსა!..
აკოკრდებიან კვლავ ზამბახნი... ვარდნი... იანი!..
მთის ნაკადულნი ხმას მისცემენ ტყეთა შრიალსა...
და დრო ახალი იშემოდგომ-იგაზაფხულებს...
იცოცხლებს წლებათ!.. საუკუნეთ!.. ათას წლეებათ!..
გაჰქრება ბნელი... ღამე როკვას ვერ აღასრულებს...
და გზა ცხოვრების გაშუქდება ულევ დღეებათ!..
აქ საუკუნო მზე დადგება ქვეყნის ერთ მხარეს!..
იქით სამუდმო მზეთ იქცევა მთვარე თვიური...
დიდება მიწას!.. მზეს!.. ციაგებს!.. ვარსკვლავებს! მთვარეს!..
და უკვდავ ჰიმნით დათავდება ჩემი დღიური!..

ნ ზომლეთელი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 3 დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიონულ კომიტეტში: ბუდუ მდივანი, თედორე კალანდაძე, ვირაპი, გალაკტიონ ვაშაძე, ალექს. სალარიძე, ალ. სვანიძე, მიასნიკოვი, არ. სოლოვიანი, გოლუბიევა, კოტე ცინცაძე, ს. თოდრია, მ. ტოროშელიძე, ნ. სოკოლოვსკი, ბარონ ბიბინეიშვილი, მარიამ ესსენი, ალექსანდრე ესსენი, ნ. ზავარიანი, კიკალეიშვილი, ის. ჰანტურია, ვ. ავაქოვი, ნ. ოკუჯავა, კ. აგნიევი, ა. თუმანოვი, ილ. წივწივაძე, მოგილიოვსკი, გალაქტიონ ნუცუბიძე, ბესო კვირკველია და ელისაბედაშვილი.

არ გამოცხადება აღნიშნულ ვადაზე ჩაითვლება პარტიულ მოვალეობის გვერდის ახვევათ.

იმ ამხანაგებმა, ვისაც არ აქვთ საშუალება გამოცხადდენ რაიკომში, უნდა წერილობით აცნობონ ამის შესახებ რაიკომის მდივანს.

მე 4 რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: **ამახი.**

გორი.

25 აგვისტოს სამაზრო კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა ინსტრუქტორთა თათბირი, თემებიდან გამოწვეულ პასუხისმგებელ ამხანაგების მონაწილეობით. თათბირის დღის წესრიგში იდგა მოხსენებები ადგილებიდან და რიგი ორგანიზაციულ ხასიათის საკითხებისა.

თათბირზე მოხსენებები იქმნა გაკეთებული კოოპერაციაზე და მიწათ მოწყობაზე საქართველოში. ინსტრუქტორებს დაურიგდათ ვრცელი თეზისები და ცირკულიარები ამ საკითხების შესახებ ფართო კამპანიების ჩასატარებლად. თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ინსტრუქტორებისა თავიანთი მუშაობის შესახებ ადგილებზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, როგორც ორგანიზაციულ სტრუქტურის, ისე მუშაობის შინაარსის მხრივ გადავიდენ ახალ საფეხურზე, შესამჩნევათ დაეტყო პარტიულ მუშაობას გამოცოცხლება თემებში და სოფლებში: ხშირათ იმართება ახლომდებ კომუჯრედების გაერთიანებული კრებები, რომელსაც ესწრებიან სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორები; შემოღებული და გატარებულია კომუჯრედებზე პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრება, კომუჯრედების პასუხისმგებელ მდივნების თათბირების დრო გამოშვებით მოწვევა უჯრედზე მიმაგრებულ ამხანაგების თანდაწრებით და სხვა. ამრიგად შთაბეჭდილება ისეთია, რომ რაიკომების გაუქმება და ინსტრუქტორთა ინსტიტუტის შექმნა დადებითი და მიზანშეწონილი ნაბიჯი გამოდგა ჩვენი უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანიზაციისა.

მაგრამ აქავე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: რაიონულ კომიტეტების გაუქმების შემდეგ მთელი სიმძიმე პარტიულ მუშაობისა აწვება ინსტრუქტორ ორგანიზატორებს. პარტიულ მუშაობის წესიერათ დასაყენებლათ და მუშაობის ნაყოფიერათ საწარმოებლათ აუცილებლად საჭიროა შედარებით გამოცდილ ინსტრუქტორების ყოლა.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილი ინსტრუქტორები გორის სამაზრო კომიტეტს ძლიერ ცოტა ჰყავს, რაიც რასაკვირველია, ერთგვარ გავლენას ახდენს პარტიულ მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე.

ორგანიზაციულ მნიშვნელობის საკითხთა შორის განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია თათბირმა თემების დასახლებულ და შუა ადგილებში ქოხ-სამკითხველოების გახსნას, როგორც ერთ ერთ შეუდარებელ საშუალების აგიტაციისა და პროპაგანდისა უპარტიო მუშათა და გლეხთა ფართო მასსებში. თათბირმა მიიღო შემდეგი გეგმა ქოხ სამკითხველოების დაარსებისა, შემუშავებული საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ: 1. გაიხსნას ქოხ სამკითხველო, ყოველ თემში, შედარებით მეტად დასახლებულ და ცენტრ. ადგილებში ისე, რომ თითეულ თემში გაიხსნას არა ნაკლებ ორი სამკითხველოისა; 2. დაევალოს სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორს თავის ხელმძღვანელობის ქვეშ, მორიგეობით ყოველ დღიურად და განსაკუთრებით კვირაობით, როდესაც გლეხობა თავს იყრის, გაგზავნოს სამკითხველოში წერა-კითხვის მცოდნე პარტიული ამხანაგი, გლეხებისათვის ხმა-მაღლა გაზეთების წასაკითხავათ და წაკითხულზე ახსნა-გარმატებების მისაცემათ.

ასეთი სამკითხველოების გახსნა ადვილათ შესაძლებლათ სცნო თათბირმა და იმედი გამოსთქვა, რომ ეს აზრი და ამოცანა ახლო მომავალში იქნება განხორციელებული.

თათბირმა მიიღო სამაზრო კომიტეტის დადგენილება სათემო კომიტეტების დაარსების (არჩევის) შესახებ ისეთ თემებში, სადაც კომუჯრედთა რიცხვი ერთს აღემატება. ამ რიგათ სათემო კომიტეტები უნდა მოეწყოს შემდეგ თემებში: ახალ-ქალაქი, გომი, ქარელი, მეჯვრისხევი, ქვემო ჭალა, რუისი, ტყვიავი, სურამი, ხცისი, ატენი, საცინური.

სათემო კომიტეტების არჩევნების ჩასატარებლათ ყოველ თემებზე დანაწილებულ და მიმაგრებულ იქნეს სამაზრო კომიტეტის წევრები და სხვა პასუხისმგებელი ამხანაგები.

ხ. მ.

პროვინციაში

ლეჩხუმის მაზრა.

ლეჩხუმის მაზრა შესდგება ორი სხვადასხვა გეოგრაფიული ნაწილისაგან: ქვემო სვანეთი და თვით ლეჩხუმი. ქვემო სვანეთს შეადგენენ სამი საზოგადოებები: ლაშხეთის, ჩოლურის და ლენტეხის.

საკუთარი ლეჩხუმი შესდგება 12 თემისაგან. მცხოვრებთა რიცხვი უდრის 60 000 სულს ორივე სქესისას.

ეკონომიური მდგომარეობა ლეჩხუმის მაზრის დღემდის უნუგეშო იყო; იგი, როგორც მოწყვეტილი თავის გეოგრაფიულ მდგომარეობით და უგზოობით რესპუბლიკის სხვა ნაწილებს, ეკონომიურად მუდამ დაქვეითებული და ჩამორჩენილი იყო, მაგრამ მიმდინარე წელს ის სხვადასხვა ანორმალურ მდგომარეობის გამო უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. გასული წლის მოუსავლობამ შექმნა ის მწვავე სიმშილი, რომელიც ამ წელში გადაიტანა ლეჩხუმის მაზრის მშრომელმა მასსამ: სიმშილიდან თავის დასაღწევად და არსებობის შესანარჩუნებლად ხალხი არაფერს ზოგავდა: ჰყიდდა ავეჯეულობას, ცხენს და ხშირად უკანასკნელ მარჩენალ უღელ ხარს, სანამ მას არ მიეშველა მთავრობის დახმარება.

მაზრას გარდა ამისა ეწვია სტიქიური უბედურებაც: გამუდმებული დიდი წვიმების შემდეგ დაიმეწყრა სამი სოფელი: თხიზურგი, ქულბაქი და ჩქუმი. დაინგრა სახლები, დაიღუპა პირნახული და მრავალი ცხოველი და ხალხი დარჩა უბინაოდ.

---

*) ჩვენ მიგვაჩნია ეს უკანასკნელი ზომა ცალმხრივათ და მიზანშეუწონლათ მუშაობის თვალსაზრისით ადგილებზე.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ეგიაზაროვის ფეხსაცმელების სახელოსნო

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, № 38, ეგიაზაროვის ფეხსაცმელების სამკერვალოში არაა დაცული არავითარი შრომის კანონი. ამუშავებს მცირე წლოვან ტერ-არუთინოვს განუსაზღვრელ დროს და გასამრჯელოსაც აძლევს არა სატარიფო განაკვეთით, არამედ თავის ნებაზე, თვეში 500 ათას მანეთს. როდესაც შრომის კომისარი და კ. ა. კ. წარმომადგენელი მოვიდა ამ სახელოსნოში, ხაზეინმა, ეგიაზაროვმა განაცხადა,—ასეთი კანონის არსებობა არ ვიცოდი, ახლა მაპატიეთ და შემდეგ არ დავარღვევო. მაგრამ თუ ისეთი კანონია, რომ ბავშმა ოთხი საათი უნდა იმუშაოსო მაშინ მისი შენახვა ჩვენ არ შეგვიძლიაო. შრომის ინსპექტორმა მის ამ თხოვნაში სამართლიანათ არ გაუწია ანგარიში და შეუდგინა სათანადო ოქმი სამართალში მისაცემათ.

გამვლელი.

საარაკო ექსპლოატაცია

წვრილი სახელოსნოების მეპატრონეები ზოგჯერ მუშის შრომის საარაკო ექსპლოატაციას ეწევიან. წინაალმდეგ შრომის კანონებისა იღებენ სამუშაოთ ხალხს ქუჩიდან, სარგებლობენ მისი გაჭირვებული მდგომარეობით და თან ამუშავებენ და თან შიმშილით კლავენ. მაგალითად კუხაშვილის ფეხსაცმელების სამკერვალოში მუშაობს 13 წლის მცირე წლოვანი დღეში 10 საათს. ხაზეინი მას არ აძლევს არავითარ შრომის ხელფას. მხოლოდ ვითომც აჭმევს და აცმევს. ბავში იმდენათ დახეულ ტანისამოსშია, რომ ნახევრათ ტიტველია. ის აგერ 2 წელიწადია რაც მასთან მუშაობს ასეთ პირობებში. სასურველია ასეთი თავხედი ხაზეინი სამაგალითოთაც დაისაჯოს, რათა სხვებსაც მაგალითად გამოადგეს.

გ—ქძე

ზირაკიანის ფეხსაცმელების სახელოსნო

ამ სახელოსნოს გათავხედებული ხაზეინი მუშის შრომის ექსპლოატაციაში ერთობ შორს წავიდა. ამუშავებს მცირე წლოვან ბავშს 9 საათს და აძლევს სამათხოვრო ჯამაგირს თვეში 200 ათას მანეთს. ბავში არ ირიცხება კავშირში. არა აქვს არც საანგარიშო წიგნაკი. შრომის ინსპექტორმა ჯაგინოვმა ყოველივე ამის გამო შეუდგინა ოქმი სამართალში მისაცემათ.

გ. მ.

ფურნე-თორნეებში

როგორც მკითხველებს მოეხსენება ფურნე თორნეებში კვირა უქმე დღეობით აკრძალულია მუშაობა. ამ კანონს ქველა მეფურნე არ ასრულებს და კვირაობით მუშტარს ისევ ცხელი პურით უმასპინძლდება. ნამეტურ ეს ხდება განაპირა უბნებში. მაგალითად შელაშვილის თორნეში ერთ მშვენიერ კვირა დღეს შრომის ინსპექტორმა აღმოაჩინა ცხელი პური. მეთორნემ განაცხადა, მე არ ვყავი ეს შეცდომით მოხდაო. შრომის ინსპექტორმა შეუდგინა ოქმი, **რასაც შედეგათ მოჰყვა მისი 500 ათას მანეთით დაჯარიმება.**

პ. ქ.

ყურადღება უნდა მიექცეს

სომხეთის მისიის სადგომის დაბლა სართულში შოთა რუსთაველის პროსპექტზე ინახება ამ მისიის თევზი „სელიოტკა“: ეს თევზი ლპება და ქუჩაში იქ გავლა, ისე თუ ცხვირზე მაგრათ არ მიფარე ხელი, შეუძლებელია. მახლობლათ მცხოვრებლებმა და მოვაჭრეებმა ამ საქმეზე უკვე აღძრეს სათანადო შუამდგომლობა მაგრამ ამაოთ. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და თევზი გადატანილ იქნეს.

გ—ლი.

ფეხსაცმელების სახელოსნოები

შრომის კანონები ნამეტურ სძულთ ფეხსაცმელების სახელოსნოს მეპატრონეებს. მათში მასიური ხასიათი მიიღო შრომის კანონებზე გვერდის ავლამ. არაფერში ანგარიშს არ უწევენ ამ კანონებს. იყვანენ მუშა ხელს შრომის ბირჟას გარეშე, არ აძლევენ მას შრომის ხელფასს სატარიფო განაკვეთით, არ იცავენ ნორმალურ სამუშაო დღეს, არ ასრულებენ მცირე წლოვანთა დაცვის კანონებს და სხვა. საჭიროა ამ გარემოებას ყველა უბნებში ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდეს. მე-4 კომისარიატში უკვე დაიარა ასეთი სახელოსნოები შრომის კომისარმა და შემდეგ პირებს შეუდგინა ოქმი სამართალში მისაცემათ: ა. ოგანეზოვს, ა. სარალიძეს, ი. კოსტილევს, ნ. სერაპიანს და სხვებს.

ვინმე.

ორიოდე სიტყვა მეორე რაიონის (რკინის გზის) მუშა-მოსამსახურეებზე

აუტანელ პირობებში გვიხდება მუშაობა ზოგიერთ ამხანაგებს, წელზედ ფეხს ვიდგამთ რათა ჩვენი პირველი და აუცილებელი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ. განვიცდით ათასნაირ დამცირებას, რაიც გამოიხატება არა პირდაპირი მოვალეობის დაკისრებით კალმით არ აიწერება ის აუტანელი პირობები, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით ბატონ კარგ დახელოვნებული სპეცების წყალობით, და თუ რომელიმე ჩვენთაგანმა ხმა აღიმაღლა და სამართლიანი აზრები დაიბადა თავში თქმასაც ხომ ვერ გაბედავს.

სასურველია ასეთმა ამხანაგებმა ამხილონ ასეთი გაბატონებულები, რათა რაიმე გავლენა იქონიოს ზოგიერთ ზნე დაცემულ პირებზედ. საჭირო არის მეტი სიფხიზლე, მეტი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

მუშა ერშილე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 44

ს. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა

1 სექტემბერი 1922 წ.

§ 2.

რეგისტრაცია იმპერიალისტური ომის დროს გადმოხვეწილ პოლონელ, ლიტველ და ლატვიელ ლტოლვილებისა დამთავრდეს ამა 1922 წ. სექტემბრის 10 მდე.

§ 2.

საქართველოს ცენტროევაკის მიერ სამშობლოში დასაბრუნებლად აღრიცხულმა ლტოლვილებმა თავისი სურვილი სამშობლოში დაბრუნების შესახებ უნდა განაცხადონ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 25 სექტემბრისა

§ 3.

წინა მუხლში აღნიშნულ განცხადებათა თანახმად სდგება სამშობლოში გასაგზავნ ლტოლვილთა უკანასკნელი სია.

§ 4.

ის ლტოლვილები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ვადამდე არ განაცხადებენ თავიანთ სურვილს სამშობლოში დაბრუნების შესახებ, ჰკარგავენ ხაზინის ხარჯზე გაგზავნის უფლებას.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

საქართველოს ცენტროევაკის გამგე **კაკაბაძე.**

განკარგულება

ფინანსთა სახალხო კომისარისა 1922 საგადასახადო წლისათვის სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადით გადამხდელთა დაბეგვრის შესახებ.

თანახმად 1921 წლის 26 ივლისის დეკრეტის № 61 მე 3 ნაწილისა 1921 საგადასახადო წლისათვის გადამხდელთა სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისათვის, ფინანსთა სახალხო კომისარი ადგენს შემდეგ წესრიგს და ვადებს:

1) რესპუბლიკის ქალაქებში და ქალაქის მიდამოებში სახლის პატრონები, მოურავები მოიჯარადრენი (მათ შორის მცხოვრებთა კოლექტივებიც) და აგრეთვე საბჭოთა სახლების კომენდანტები, ხოლო სოფლებში ხელის უფლებათა აღმასრულებელი ორგანოები, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა წარადგინონ სათანადო საგადასახადო განყოფილებებში დაწესებული ფორმით სია იმ პირთა, რომლებთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი.

2) ყველა საბჭოთა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი და აგრეთვე კერძო პირნიც, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა წარადგინონ № 21 ფორმით სათანადო საგადასახადო განყოფილებაში მუშა მოსამსახურის ბინადრობის მიხედვით ყოველივე ცნობები მუშა-მოსამსახურისაგან მიღებულ ჯილდოს 1921 წლის განმავლობაში როგორც ფული აგრეთვე ნატურით (ულუფით).

3) ამ განკარგულების 1 მუხლის დარღვევისათვის დამნაშავენი დაჯარიმებულნი იქნებიან არა უმეტეს 5 მილიონი მანეთისა რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგის განკარგულებით. აღნიშნული ჯარიმა გადახდება დამნაშავეთ ადმინისტრატიული წესით. იმ პირთ, რომლებთაც დაედებათ ჯარიმა უფლება აქვთ განასაჩივრონ ასეთი ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგის დადგენილების გამოცხადებისა ხელწერილ ქვეშ. საჩივრის შეტანა არ აფერხებს დადებულ ჯარიმის გადახდევინებას.

4) ყველა ის პირნი, (ფიზიკური და იურიდიული) მათ შორის ანგარიშ ვალდებულნი დაწესებულებანი, კოოპერატივები და სხვ), რომლებმაც 1921 წელში მიიღეს შემოსავალი ყოველივე წყაროდან 9 მილიონ მანეთზე მეტი, ვალდებულნი არიან შეიტანონ განცხადებანი) დეკლარაციები) თავიანთ შემოსავლის შესახებ № 8 ფორმით არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ოქტომბრისა სათანადო საგადასახადო განყოფილებაში საცხოვრებელი ბინის ადგილმდებარეობის მიხედვით.

5) ამ დადგენილების მე 4 მუხლის დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან დეკრეტის 61 მე 2 ნაწილის 7 და 8 პუნ. მიხედვით.

6) გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა უნდა დამთავრდეს და ხარჯის ფურცლებიც დაიგზავნოს მილიციის საშუალებით არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 დეკემბრისა, ის გადამხდელნი, რომლებიც თავის დროზე ვერ მიიღებენ ხარჯის ფურცლებს რაიონის საგადასახადო განყოფილებიდან დამოკიდებულ მიზეზებით, თვითონვე უნდა მივიდნენ საგადასახადო განყოფილებაში და გამოარკვიონ თავიანთი დაბეგვრის საქმე.

7) საშემოსავლო გადასახადით უსამართლოდ დაბეგვრისათვის გადამხდელთ უფლება აქვთ შეიტანონ საპასუხო რაიონის საგადასახადო საკრებულოში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრისათვის.

8) აღრიცხული გადასახადი უნდა იქნეს შეტანილი ხაზინაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 31 დეკემბერს.

9) შეტანილ საპასუხოზე გამოტანილი რაიონის საგადასახადო საკრებულოს დადგენილების გასაჩივრება შეიძლება იმავე საკრებულოს საშუალებით ფინანსთა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ სახარკო თათბირში ერთი თვის განმავლობაში დღიდამ დადგენილების მიღებისა ხელწერილ ქვეშ.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ზ. ბიბინეიშვილი.**

პირდაპირ გადასახადთა განყ. გამგე **ბეზირგანიშვილი.**

24 აგვისტო 1922 წ.

ბრძანება № 6.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

31-დან ამხ. **ბ. კვირკელია** დანიშნულია სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ ამხ. ს. **ქავთარაძის** აქ არ ყოფნის დროის განმავლობაში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. ფანასიევა.**

1922 წ. აგვისტოს 31

ტფილისი—სასახლე.

შემდეგ ზაფხულში სეტყვამ და დიდმა ნიაღვარმა გაანადგურა სოფლები: ლაილაში, ღუ, ორბელი, ალვი და კენაში. მეორე შემთხვევაში ასეთივე ბედი ეწვია სოფლებს: ნასპერს, უცხერს და ღვირიშს. სანახევროდ დაილუპა სიმინდი, პური და ვენახი და მასთან მრავალი შინაური ცხოველი. ყველა ამ გარემოებამ მაზრა ჩააგდო უკიდურეს მდგომარეობაში და გასაკვირი არ არის თუ ხალხს საძნელოდ დაურჩა იმ გადასახადის გაღება, რომელიც მასზე გაწერილია, როგორც სურსათ სანოვაგით აგრეთვე ფულით.

მაზრის შემოსავლიანი წყარო არის მხოლოდ ტყით დაფარული მთები და მადნეულობა. ტყეების ექსპლოატაცია უკვე დაწყებულია სახელმწიფო მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ მაზრის საჭიროებისათვის ადგილობრივ საბხელის უფლებას ტყით სარგებლობა არ შეუძლია სატყეო კომიტეტის ნებადაურთველად მაშინ, როდესაც მაზრა აძლევს რესპუბლიკას დიდძალ ხეტყეს.

რაც შეეხება მაზრის ჯერ დაუმუშავებელ ხელუხლებელ სიმდიდრეს, ეს პირველყოფილ მდგომარეობაშია, რაც არა ერთხელ აღნიშნულა.

ადგილობრივ ხელისუფლებას კი არა აქვს საშუალება ცენტრის დაუხმარებლად დაამუშავოს ხელუხლები სიმდიდრენი.

მაზრა მდიდარია შემდეგი ნივთიერებით: ცემენტი, სხვადასხვა თიხა, ფაიანსისათვის (კაოლინის) ტერაკოტა, რომლისაგან შეიძლება ჩამოსხმა ხელოვნურ ნაწარმოებთა. აგრეთვე მრავლათ არის აგურის გამოსაწვავი თიხა, ე. წ. შიმოტი. მრავალი მასალაა კუპრის დასამზადებლად, რასაც დიდი მოთხოვნილება აქვს საქართველოში. საჭიროა ამ სიმდიდრეს მიექცეს სათანადო ყურადღება, შესდგეს კომისია, რომელიც ადგილობრივ გამოიკვლევს მაზრის სიმდიდრეს. ვიმედოვნებთ მთავრობა, რომელიც მუდამ ფიქრობს მშრომელ გლეხობის აუტანელ პირობების გაუმჯობესებას, არ დააყოვნებს ზომების მიღებას მაზრის ეკონომიურად და კულტურულად აყვავებისათვის.

პ. დვალი.

აღმოსავლეთი გურია.

ამ რაიონის მცხოვრებლებმაც დიდი გაჭირვება აიტანეს სიმშილის გამო. მაგრამ მივიღეთ მთავრობისაგან დიდძალი დახმარება, როგორც უფასოთ ისე სესხათ, პური და სიმინდი. მიღებული დახმარება ურიგდებოდა ღარიბების უმეტეს ნაწილს. თუმცა-და ნაწილი მცხოვრებლებისა მთელი სამეურნეო იარაღებისაგან დაიცალა, რაც გაზიდულ იქნა იმ რაიონებში, სადაც სიმინდი იშოვებოდა. ასე იყო თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ სიმშილობის მომდგარი საფრთხისაგან თავს ვაღწევთ.

წელს ყანების მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ ამ ბოლო დროს გამუდმებულმა წვიმებმა არ დალუპეს.

ვენახები მოუვლელობის გამო სრულებით გაოხრდა, რადგანაც გოგირდი და შაბიამანი იმ დროს ძნელი საშოვნელი გახდა, და, მეორე, სიმშილის აჩრდილმა სხვა სუყველაფერი დაგვავიწყა.

აბრეშუმის პარკის მოსავალი წელს შედარებით სხვა წლებთან, ბევრად კარგი იყო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პარკის ოპერაციები მაინც და მაინც ვერ ჩატარდა სასურველად. საქმე ის არის, რომ სასურსათო სახალხო კომისარიატმა ვერ მოახერხა თავის დროზე მიეცა მეაბრეშუმე გლეხობისათვის აღებულ პარკის ღირებულება—ფულით, ფართლეულით და სიმინდით. ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და გლეხობა მალე და სავსებით იქნეს დაკმაყოფილებული.

ი. ჩომეთელი.

დაბა ანაკლია (ზუგდიდის მაზრა).

დაბა ანაკლია მდებარეობს შავი ზღვის ნაპირას, მცხოვრებთა რიცხვი 450 კომლს უდრის, ჭაობიანი ადგილია. ყოველ წვიმიანი ზაფხულში ნაკლები მოსავალი მოდიოდა. მდგომარე 1922 წ. მცხოვრებთ შორის ამ ბოლოს დროს ზოგიერთ ოჯახში სურსათი შემოაკლდათ. მთავრობამ შეძლებისდაგვარად საჭირო დახმარება აღმოუჩინა დამშეულ ოჯახებს. წრევანდელი ყანების დამუშავებას ძლიერ ბეჯითად მოკიდეს ხელი. კიდევაც პირველი ხანებში ნათესს ძლიერ დამაკმაყოფილებელი პირი უჩნდა. მაგრამ ივლისის თვის დადგომიდან იწყო ხშირი წვიმები, რის გამო ნამუშავერს გადაედვა უვარგისი ფერი. ხალხი ელოდა გამოდარებას და ნამუშავარის გამოკეთებას. მაგრამ ეს იმედები მალე გაუცრუვდათ: ათ აგვისტოს საღამოს რვა საათიდან დაიწყო ელვა ქუხილი და მას მოყვა საშინელი კოკისპირული ღვარი, რაც გაგრძელდა მთელი ღამე. ზოგიერთი ოჯახები, რომლებსაც მოსახლობა უფრო დაბალი ადგილში ქონდათ, შვალამიდან დაიწყეს გადახიზვნა თავიანთი პირუტყვ ფრინველებით, უფრო მაღალი ადგილებზე. გათენებისას დაბლა მყოფ ოჯახებში არშინი წყალი იყო დამდგარი რა საეჭვოა ყანებს უარესი დღე ადგა. დიდძალი წვრილფეხა პირუტყვი დაილუპა. მაგრამ ამას ვინ ჩიოდა. ყველა ყანების განადგურებაზე მოსთქვამდნენ.

11—12 აგვისტოს უზომოდ დასცხა. სასიმინდო ყანები დამდგარი წყალის სიმხურვალემ სულ ერთიანად ჩახარშა, ასე რომ არამც თუ სიმინდის, პირუტყვისთვის ჩალის იმედიც დაუკარგა მთელ თემს.

ხალხი დალონებულია. მოიყარეს თავის ადგილობრივი აღმასკომის წინაშე და თხოვეს—ეცნობებია უმაღლესი მთავრობისათვის მათი გაჭირვება. ადგილობრივი ხელისუფლება დაპირდა მათ ყოველგვარ დახმარებას. საჭიროა ამთავითვე იქნეს ზომები მიღებული დაზარალებულ მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ხ. დგებუაძე.

წერილები რედაქციის მიმართ

პროტესტი.

ჩვენ ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი ქალები, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვუცხადებთ სასტიკ პროტესტს როგორც ბ-ნ მაქს-იმეს, ისე გაზეთ „ტრიბუნას“, იქ (№ 278) მოთავსებულ წერილის გამო, რომელიც თავის ჭორებით სასტიკ შეურაცყოფას გვაყენებს. ზოგი ჩვენგანი თითო წელიწადი ვმსახურებთ აღნიშნიშნულ დაწესებულებაში და არავისაგან არ ვყოფილვართ შეურაცყოფილნი გარდა თვით ბ-ნ მაქს-იმესი. ჩვენ მის აპეკუნებას არ ვთხოულობთ, ვინაიდგან თვითონ შეგვიძლია ჩვენი ინტერესების დაცვა. მოვითხოვთ პასუხისგებაში იქნენ მიცემული როგორც მაქს-იმე, ისე გაზეთი „ტრიბუნა“.

ხელს აწერენ:

ა. შუილლიშვილის ასული, ე. ფარესაშვილი, ე. რამიშვილი, კალანდაძე, კალანდარიშვილი, ნაკაშიძე.

პროტესტი.

ჩვენ ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები, წავიკითხეთ რა გაზეთ „ტრიბუნა“-ში მოთავსებული წერილი ვინმე „მაქს-იმესი“ გამოგონილი „ფაქტებით“ და ვხედავთ რა მასში სრულ სიყალბეს რომელიც შეეხება კომისარიატის ზოგიერთ თანამშრომლებს ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს წერილის ავტორის წინაალმდეგ და ვამბობთ, რომ კომისარიატში მაქს-იმეს მიერ მოთხრობილ ამბებს ადგილი არა ქონია და ვიმედოვნებთ, რომ არც შემდეგში ექნება.

ხელს აწერენ ოცდაორი მოსამსახურე კომისარიატისა.

სარედაქციო კოლეგია

გაზეთის ტრესტის მთავარი

კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე სექტემბრის ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—36)

ვაჭარ-მრეწველთა საყურადღებოთ

სადარაბო საქმის კიდევ უფრო სწორად მოგვარებისათვის ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი,

ამ საკითხის შესახებ არსებულ წესის შეცვლით, აცხადებს ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფების საყურადღებოთ, რომ ამიერიდგან ყოველგვარი ადმინისტრატიული [illegible] განკარგულება დარაბების გაცემა, ჩამორთმევის შესახებ სრულიათ არ იქნება დაშვებული, ან და იქნება მხოლოდ ქალაქის და სახელმწიფო დიდმნიშვნელოვან საქმეთათვის, ხოლო დარაბების დღევანდელ მფლობელთა და ქალაქის აღმასკომის შორის უფრო ნორმალურ უფლებრივ ურთიერთობითს დასამყარებლად შეკრული იქნება ყოველ ცალკე შემთხვევაში პირობა, რომლის თანახმად გადაწყვეტილი იქნება ვადა და მტკიცე საიჯარო გადასახადი

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ი. წივწივაძე.**

საფინანსო განყოფილების გამგე **თ. ღლონტი.**

3—2

242 კრ.

ქალაქის აღმასკომის კომუნალ. განყოფილება

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 7 სექტემბერს, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ყოფ. მირზოევის აბანოს შესაკეთებლად.

ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის აღმასკომში ოთახი № 45.

საინ. ტეხ. საამშენებლო განყოფილების გამგის მოადგილე: **დიხანოვი.**

258 კრ. 3—3

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 7 ენკენისთვეს ამა წლის 12 საათზე სამმართველოს შენობაში დანიშნულია

შეჯიბრება იჯარით გაცემაზე:

ბუფეტისა სად. ინჩეზე, სავაჭრო ფარდულისა სადგურ ამამლოში, საპირფარეშოებისა სადგურ ხაჩმას და სადახლოში და თბილისის სადგურზე ყოფილ საფარეშოსი, მოთავსებულის თბილისისავე საქონლის ეზოში, საფარეშო გაიცემა იჯარით იმ პირობით, რომ მოიჯარადრემ თავის ხარჯით გადააკეთოს იგი სავაჭრო ფარდულად.

განცხადებები, საღერბო გარდასახადით განაღდებულნი 10.000 მან. რაოდენობით, უნდა შეტანილ იქმნან დახურულ კონვერტებში წარწერით: „ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველოს საბჭოში 7 ენკენისთვეს შეჯიბრებისათვის“. განცხადებებს უნდა დაერთოს კვიტანციები საწინდარის შეტანის შესახებ რაოდენობით 1.000.000 მანეთისა.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეჯიბრების შესახებ შეიძლება ეკონომიურ დარგის კომერციულ ნაწილში ყოველ დღე 10 საათიდან 2 საათამდე კვირა-უქმეების გარდა. (271—3—2)

ანასტასია ერისთავ ხოშტარიისა, დიმიტრი (დუტუ მეგრელი), გიორგი, თამარ, მარიკა და ელიკო ხოშტარიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათ საყვარელ

ტიტიკოს (მიტუშას)

გარდაცვალებიდან მე 40 დღეს, ოთხშაბათს 6 სექტემბერს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება საფლავზე საღამოს ექვს საათზე პანაშვიდი. (282—1—)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი დაწვენით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ 7—91.
(25—21)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში. (0—15)

მიწათ-მოქმედების კომისარიატის სახალხო მამულების

ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისში, ქვე განყოფილების სადგომში (**რუსთაველის პროსპექტი, ყოფ. კადეტთა კორპუსი**). **ხუთშაბათს, 7 ენკენისთვეს** 12 საათზე დანიშნულია მეორე და უკანასკნელი

საჯარო ვაჭრობა

შემდეგი სახალხო მამულების იჯარით გაცემაზე:

1. **ზედობანი** (მიხეილ ნაკაშიძის ყოფილი მამული სოფ. ზედობანში ოზურგეთის მაზრაში): 4 დეს. დაბლარი ვენახი, 2 ხეხილის ბაღი, 10 ჩაის პლანტაცია, 20 სახნავი და სხვა, სულ 67 დესეტინა.
2. **ბეთანია აკურისი** (ბარონ ნიკოლაის ყოფილი მამული კოჯორის ახლო, თბილისის მაზრაში): 30 დეს. ხეხილის ბაღი, 32 დეს. სათიბი, 5 დეს. სახნავი და სხვა, სულ 170 დეს.

პირობების გაგება შეიძლება სახალხო მამულების ქვე განყოფილების კანცელარიაში მუშაობის დღეს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (272—2—2)

ტირაჟი 10,000

ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-3 სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.